# ფანტაზია 2000

## პაუელის სალონი

### ანუ: — ცხვირი ჰგავს? - ჰგავს!






მე-10
ტური
27.XI.
18-20
სთ

**გასული ტურის პასუხები და შედეგები**

*საჯურნირო კითხვები*: 1. ტელევიზორი. 2. „...რაც მეტს ვაშიშვლებ, უფრო ბრწყინდება“ (ეს კითხვა ჩაეთვალათ მათ, ვინც სიტყვა „ბრწყინვალება“ ახსენა, რის მიხვედრაც რითმიდან გამომდინარე შეიძლებოდა). 3. შესაბამისი გასამრჯელოს ამოღების უნარი.

სამივე კითხვა ერთად ვერავინ ამოიცნო, თუმცა ცალ-ცალკე სამივე ამოცნობილ იქნა.

*საპრემიო კითხვები:* 1. ეს იყო კოლუმბი და მას ეგონა, რომ ინდოეთში იმყოფებოდა. 2. ...ეს არის სინდრომი გამუდმებული მკურნალობისა.

მეათე ტურში თამაშდება წინა ორის ტურის გაუთამაშებელი თანხაც და ამჯერად გამარჯვებულს შეუძლია მიიღოს 30 ლარი (ან განაწილდეს გამარჯვებულებს შორის)

**21 ქულა:** გია ჯვარშეიშვილი (34,50 ლარი),

**20 ქულა:** ნოდარ გოქაძე (13,30).

**19 ქულა:** მერი მამრიკიშვილი (17 ლარი).

**16 ქულა:** მერაბ წიკლაური (7,50), დიანა საღრიშვილი (2 ლარი).

**15 ქულა:** ვაჟა პაპუაშვილი (2,00)

**14 ქულა:** სოფიკო დუნდუა (4,50). **11 ქულა:** გია წერეთელი (10 ლარი), ნიკოლოზ წიქარიშვილი, ანდრო მჭედლიშვილი (6.70). **10 ქულა**: ნუკრი მაისურაძე. **9 ქულა**: ბაჩანა შენგელია, თამრიკო დამენია, გიორგი გვასალია (6.70). **8 ქულა**: ვახტანგ ნანავა (2,50 ლარი), ივანე ბერიანიძე (3,30 ლარი). **7 ქულა**: თემურ აფციაური, მზია ღვინიაშვილი, ვლადიმერ ყაჯრიშვილი. **5 ქულა:** კობა დალაქიშვილი, სოსო ნიკოლაშვილი, ნადეჟდა ელიზბარაშვილი. **4 ქულა:** ლევან ჩიგოგიძე. **3 ქულა**: თიკო გაბუნია, დათო ჭილიტაშვილი. **2 ქულა**: მარინა ამაშუკელი, დავით ბასილია, ნათია ჩუბინიძე. **1 ქულა**: მარინა ბერიკაშვილი.

**– ტურნირი ჩატარდება 12 ტურად, კვირაში ერთხელ**

**– 3 სატურნირო კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემის შემთხვევაში გამარჯვებული მიიღებს 10 ლარს (რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში ეს თანხა განაწილდება); ორ საპრემიო კითხვაზე პასუხის გაცემა სავალდებულო არ არის, მაგრამ თუ ვინმე ისურვებს ამ კითხვებზე პასუხის გაცემას და ორივეს ზუსტად ამოიცნობს, მიიღებს საპრემიო 10 ლარს ((რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში ეს თანხაც განაწილდება). საპრემიო პასუხები ჩაეთვლებათ მხოლოდ მათ, ვინც 3 სატურნირო კითხვასაც სწორად უპასუხებს.**

**– საპრემიო კითხვებზე ქულა არ იწერება.**

**– მესამე ტურნირის საბოლოო გამარჯვებულს დამატებით მიეცემა კიდევ 10 ლარი. თანხის გაცემა იწარმოებს ყოველი ოთხი ტურის შემდეგ. ტურნირში ჩართვა შეგიძლიათ ნებისმიერი ტურიდან.**

**– ტელეფონები:**
**79-53-70, 8-77 45-19-80**

## ყურადღება!!! ყურადღება!!!

**თამაშდება 30 ლარი! მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ მსურველს!**

### *სატურნირო კითხვები*

#### *პირველი კითხვა*

1986 წელს მიმდინარეობდა კასპაროვ-კარპოვის მატჩ-რევანში და ჩემპიონი (კასპაროვი) იგებდა 4:1-ს; მალე ანგარიში 4:4 გახდა და კასპაროვთან მივიდა ერთი კაცი, რომელმაც უთხრა მას:

„შენ ჩემი ერთი რეკორდი უკვე მოხსენი და ახლა მეორესაც მოხსნიო!“ თუ მიხვდით, ვინ იყო ეს კაცი, გვიპასუხეთ

**რა რეკორდებზეა საუბარი?**

#### *მეორე კითხვა*

მარტივი კითხვა - „დეკემბერი მეთორმეტე თვეა... „დეკა“ ლათინურად ათს ნიშნავს (დეკალიტრი - 10 ლიტრი)...

**რაშია საქმე?**

#### *მესამე კითხვა*

ამასწინათ ნიუ-იორკში გამოვიდა ატლასი, რომელიც იტყობინება, რომ ახლა მსოფლიოში მათი რიცხვი 6500-ს აღწევს, თუმცა ატლასის შემდგენლები ვარაუდობენ, რომ უახლოეს 50-100 წელიწადში 2000 მათგანი გაქრება...

**რა იგულისხმება?**

### *საპრემიო კითხვები*

***1.*** თავდაპირველად ეს ჩაფიქრებულ იქნა, როგორც ტექნიკურ მიღწევათა სიმბოლო, ახლა კი მთელი ქალაქის სიმბოლოა...

**რა არის ეს?**

***2.*** ერთხელ არისტოფანეს, თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, კითხვა გაუჩნდა თავისი დამქირავებლის მიმართ და მივიდა მასთან... დამქირავებელი კი აშკარად უგუნებოდ იყო და არისტოფანეს უხეშად უპასუხა...

**რა უთხრა მაშინ არისტოფანემ თავის დამქირავებელს?**




1. ცნობილი თანამედროვე გერმანული ფირმა (7). 2. ებრაული პოეზიის მთარგმნელი ქართულ ენაზე (5). 3. თბილისში მოქმედი ტოტალიზატორი (3). 4. ვიდეო-აუდიო პროდუქციის მწარმოებელი იაპონური ფირმა (6). 5. თბილისური წარმოშობის რუსეთში მოღვაწე რეჟი-სორი (8). 6. ინგლისელი მწერალი, არჩიბალდ ჯოზეფ... (7). 7. ტექნიკური დანიშნულების მინის ჭურჭელი (4). 8. ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საინფორმაციო ტელეგადაცემა (2). 9. სა-ნათი საშუალება (2). 10. საკონდიტრო ნაწარმი (4). 11. XX ს ყველაზე ცნობილი პოლიტ. მოღვაწე ვენესუელისა, ორჯერ ქვეყნის პრეზიდენტი (10). 12. XVIII-XIX სს რუსი მწერალი და ისტორიკოსი (8). 13. გვარი ცნობილი ლატვიელი ბალეტის მოცეკვავეების, მამა-შვილისა (7). 14. ხელსაქმის სახესხვაობა (1). 15. დებულება, რომელიც ლოგიკურ დამტკიცებას არ საჭიროებს (4). 16. შემოვლითი საგასტროლო მოგზაურობა (5). 17. კრიმინა-ლური ელემენტის მიმართ განხორცი-ელებული ერთ-ერთი ქმედება (5). 18. სა-ზღვაო ხომალდის სახესხვაობა (6). 19. მოსახლეობის ერთ-ერთი კლასობრივი ფენის წარმომადგენელი (1). 20. ცნობი-ლი თანამედროვე ამერიკელი კინორეჟისორი („ყბები“ და სხვა) (5). 21. ძირით-ადად რუსეთში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორი („ციური მერცხლები“ და სხვა) (6). 22. შეჭმის პროცესამდე მიყვანილი საკვების სახესხვაობა (1). 23. ჯეკ ლონდონისეული ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გმირის გვარი (4). 24. ქართული ყოფის ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ნაწილი (ორსიტყვიანი კომპოზიტი) (2). 25. აღმოსავლური ტოპონიმების შემადგენელი ნაწილი, დაახლოებით იგივეა, რაც „ბურგი“ ან „პოლი“ ევროპელთათვის (7). 26. თანამედროვე ქართველი კინორეჟისორი და სცენარისტი, ბატონი ირაკლი (3). 27. ფრანგ მეფეთა ერთ-ერთი უკანასკნელი დინასტია (7). 28. რა არის „ხუნტა“ თავისი არსით? (4). 29. თბილისის ჩრდილოეთით მდებარე სოფელი, ცნობილი თავისი გემრიელი პამიდვრით (6). 30. უსულო სხეული (2). 31. აშშ-ს კოსმონავტიკაში ერთობ პოპულარული პერსონაჟი ძველბერძნული მითოლოგიისა (5). 32. ინგლისელი მწერალი, ავტორი რომანისა „სიგიჟე ერთი ღამისა“ და სხვა (7). 33. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების ერთ-ერთი კაპიტანი ახლო წარსულში (5). 34. ფრიად და ფრიად გავრცელებული და ხშირი სნეულება (2). 35. სოფელი თელავის რაიონში (5). 36. რძეში მოხარშული ცომი (3). 37. ქართული ფეხბურთის (...და კინოს) წინაშე ვალმოხდილი ერთ მშვენიერი ქართული გვარი (4). 38. ერთობლიობა წესებისა, რომლებსაც მისდევენ მთავრობები, საგარეო საქმეთა უწყებები (10). 39. ნამდვილი გვარი იტალიელი პორნოვარსკვლავის, ჩიჩოლინასი (9). 40. სიშიშვლის დემონსტრირებასთან გარკვეულად წილნაყარი ქართული გაზეთი (8).

01-50 ქულა - დამწყები კროსვორდისტი
51-90 ქულა - მეორეთანრიგოსანი
91-130 ქულა - პირველთანრიგოსანი
131-170 ქულა - ოსტატი
171-190 ქულა - დიდოსტატი
191-199 ქულა - ბრავო, მაესტრო!
200 ქულა - კროსვორდი თქვენ შეადგინეთ?

*პასუხები - მე-9 გვერდზე*

## *ფანტაზიის დიდოსტატები*



# ჰენრიხ შლიმანი

დასაწყისი გასულ ნომერში

შლიმანმა, როგორც იქნა სამუშაო იშოვა... იგი კურიერად მოეწყო ერთ ფირმაში და გასამრჯელოდ რაღაც გროშებს იღებდა და იმასაც სახელმძღვანელოებში ხარჯავდა. მის ოთახში კვლავ არ იყო ღუმელი, იგი ისევ გამხმარ პურს ჭამდა, კვლავ ვერ ყიდულობდა ტანსაცმელს, სამაგიეროდ ქალაქში ინგლისური გრამატიკის სახელმძღვანელოთი დაიარებოდა, სირბილ-სირბილით, კლიენტების სახლებიდან პორტში გადარბენისას, უცხო ენებს სწავლობდა... არადა, ამ პროვინციელ ჭაბუკს საოცარი მეხსიერება და ფენომენალური ლინგვისტური ნიჭი აღმოაჩნდა. მას შეეძლო სახელმძღვანელოს რამოდენიმე გვერდი დაეზეპირებინა, საღამოობით ვალტერ სკოტის (ინგლისურად) და მოლიერის (ფრანგულად) ნაწარმოებთა დეკლამირებაში ატარებდა... ერთი ენის შესასწავლად მას სულ რაღაც ექვსი თვე სჭირდებოდა!... ერთ წელიწადში მან უკვე იცოდა ინგლისური, ფრანგული, იტალიური, პორტუგალიური, შვედური და ესპანური ენები. მისი ფირმის ხელმძღვანელობას კი, რომლებმაც ჰენრიხი სამოწყალოდ მიიღეს სამსახურში, მისი გატაცება აღიზიანებდათ - კურიერმა ქუჩაში უნდა ირბინოს და არა წიგნები იზუთხოსო - და იგი სამსახურიდან გაათავისუფლეს. თუმცა ერთი კვირის შემდეგ იგი მუშაობას იწყებს იმ ძველი ფირმის კონკურენტ ორგანიზაციაში და თანაც არა კურიერად, არამედ საქმეთა მმართველად. მის ახალ უფროსს კარგად ესმოდა, რომ ექვსი ენის მცოდნე ჭაბუკი სულ მალე დიდ სარგებელს მოუტანდა მას. დღისით შლიმანი მთელ დროს პორტში ატარებდა, საღამოს კი თავის ფარღალალა ოთახში იკეტებოდა, სადაც ერთადერთი ის შეიცვლა, რომ პატარა ღუმელი დაიდგა, და იწყებდა ზუთხვას. მალე მან უკვე თხუთმეტი ენა იცოდა და რუსული ენის შესწავლი ჯერიც დადგა, მით უმეტეს, რომ მის შეფს დიდი ვაჭრობა ჰქონდა გაჩაღებული პეტერბურგთან.

შლიმანი არსებობისათვის იბრძოდა და საკუთარ თავს სხვა არანაირი გართობის უფლებას არ აძლევდა; ერთადერთი, რაც მის სულს ამშვიდებდა, ჰომეროსის პოემები იყო, ერთადერთი საამო მოგონება კი ის ანკერჰაგენელი გოგონა იყო, რომელიც უკვე დიდი ხანია არ ენახა. თანდათანობით ის ბავშვური სიყვარული მას მთელი ცხოვრების საბოლოო მიზნად ეჩვენებოდა და ეგონა, რომ პუტკუნა, ცისფერთვალება რომინა კვლავ მის მოლოდინში იყო. ბავშვური ოცნება კი ტროაზე თანდათანობით ზრდასრული ადამიანის ლტოლვად იქცა - იგი გამუდმებით კითხულობდა ჰომეროსის პოემებს და „ილიადას“ გმირები მისთვის ბევრად უფრო რეალური არსებები იყვნენ, ვიდრე ფირმის მფლობელები, კომისიონერები, მაკლერები თუ ბირჟის აგენტები. დღისით მას როგორღაც გაჰქონდა თავი, საღამოს კი ჰომეროსს გადაშლიდა და ცხოვრებას იწყებდა... ასე გადიოდა წლები ნიდერლანდის სამეფოს დედაქალაქში.

ამასობაში კი მისი მდგომარეობა ფირმაში სულ უფრო მეტ მდგრადობას იძენდა და ბოლოს მასთან ნამდვილი წარმატება მივიდა... მას რუსულმა ენამ უშველა! მათს ფირმას რუსეთში საკუთარი წარმომადგენლის ყოლა დასჭირდა და შლიმანი პეტერბურგში გააგზავნეს....

რამოდენიმე წელში ჰენრიხ შლიმანი ნამდვილი მილიონერი გახდა. იგი ხელიდან არ უშვებდა არაფერს, რასაც მოგების მოტანა შეეძლო: ამსტერდამში რუსულ პურს ყიდდა, რუსეთში კი სელიტრა შეჰქონდა, რითაც შემდეგ დენთს ამზადებდნენ... ვაჭრობდა ხეტყით... დიდი სარგებელი მოუტანა მას ინდიგოს იმპორტირებამ და საერთოდ - შლიმანი თავის კონკურენტებს ერთი კი არა, რამოდენიმე ნაბიჯით უსწრებდა.

იმ ხანებში მას ძმა გარდაეცვალა ამერიკაში და იგი დაკრძალვაზე გაემგზავრა; იქ იმ დროს ოქროს ციებცხელების ხანა იდგა და შლიმანმაც დაუყოვნებლივ გახსნა საკუთარი ბანკი კალიფორნიაში. ამერიკაში შლიმანს ტიფიც შეეყარა, მაგრამ მას წამითაც არ შეუწყვეტია მუშაობა და დიდი რაოდენობით ყიდულობდა ოქროს... რუსეთში რომ დაბრუნდა, შლიმანი უკვე პეტერბურგის ერთ-ერთ უმდიდრეს მოქალაქედ ითვლებოდა; ახლა მას უკვე შეეძლო თავის ნებაზე ეცხოვრა, მაგრამ ცხოვრება არ გააჩნდა...

სიყვარული, რომელიც მან დიდი ხნის წინ თავადვე შეთხზა, საპნის ბუშტივით გაქრა. ერთხელ მან მეკლენბურგში მაჭანკალიც კი გააგზავნა, მაგრამ გაირკვა, რომ რომინა დიდი ხნის წინ გათხოვილიყო... ასე რომ, ოცდაათი წლის ასაკში სხვა ქალზე, ერთ-ერთი უმდიდრესი რუსი ვაჭრის დაზე, თვრამეტი წლის კატია ლიჟინაზე მოუხდა დაქორწინება, რომელმაც ქმარს სამი შვილი გაუჩინა, მაგრამ ბედნიერება ვერ მისცა. ეკატერინა პეტროვნას მალე მობეზრდა „ილიადას“ სტრიქონების მოსმენა და ბერძნული ენის ზუთხვა. იგი მკაცრი ბუნების ქალი იყო და საღამოობით სახლში დაბრუნებულ შლიმანს გამუდმებული აყალმაყალი ჰქონდა გამართული ცოლთან. ჰენრიხს აწყობილი საქმე და უზარმაზარი ქონება გააჩნდა, მაგრამ სიმდიდრის მოპოვება მისთვის თვითმიზანი არასოდეს ყოფილა. მისი ერთადერთი ბედნიერება ის ყდაგაცრეცილი „ილიადა“ იყო, რომელიც მან ოდესღაც, სიჭაბუკეში იყიდა.

როდესაც შლიმანმა თავისი ფირმის ლიკვიდაცია მოახდინა და პეტერბურგიდან წავიდა, ყველამ გაოცებისაგან პირი დააღო... პეტერბურგში დარჩნენ მისი ცოლი და შვილები, რომელთაც საქმაო ქონება და სახლი დაუტოვა. და მას შემდეგ არცერთ მათგანს შლიმანი აღარ უნახავს... მან მიატოვა ოჯახი, რათა თავისი ბავშვობის ოცნება აესრულებინა!

იმისათვის, რომ მიზნისათვის მიეღწია, შლიმანს განათლება უნდა მიეღო და ამიტომაც 46 წლის კაცმა სორბონის უნივერსიტეტის ლექციებზე დაიწყო დასწრება. საქმე სწავლით არ დასრულებულა: ყოველ ნორმალურ მამაკაცს მეუღლე სჭირდებაო და მანაც, ჩვეული შეუპოვრობით დაიწყო შესაფერისი კანდიდატურის ძიება. მისი სიმდიდრის პატრონს არ გაუჭირდებოდა ახალგაზრდა ქალის შერთვა, მაგრამ მან მომავალი მეუღლის კანდიდატურას ერთი მთავარი მოთხოვნილება წაუყენა - ეს უნდა ყოფილიყო ქალი, რომელიც ანტიკური საბერძნეთის გამოხატულება იქნებოდა: ახალგაზრდა და ლამაზი, როგორც პრაქსიტელის ქანდაკება და, რაც მთავარია, უნდა სცოდნოდა ძველბერძნული ენა და ჰყვარებოდა ჰომეროსი. ამ მიზნით მან ათენში წერილი მისწერა თავის მეგობარს, არქიეპისკოპოს ვიმპოსს და სთხოვა აღნიშნული მონაცემების მქონე ახალგაზრდა ბერძენი ქალი მოეძებნა.

შემდეგ კი ყველაფერი მოხდა ისე, როგორც მოლიერის კომედიებში ხდება ხოლმე: ვიმპოსმა შლიმანს თავისი ნათესავი გოგონა, მშვენიერი და კარგად აღზრდილი სოფია ენგასტრომენსი აჩვენა და საქმრომ მას ნამდვილი გამოცდა ჩაუტარა: სოფიამ იცოდა, თუ რომელ წელს ეწვია ათენს იმპერატორი ადრიანე, გამომხატველად კითხულობდა „ოდისეის“ მთელ თავებს, მაგრამ შემდეგ, როცა ჰენრიხმა ჰკითხა, თუ რატომ სურს სოფიას მისი ცოლობა პასუხად მიიღო - „მშობლებმა მითხრეს, რომ თქვენ ძალზედ მდიდარი ხართ, ჩვენ კი ისეთი ღარიბები ვართ, რომ...“ და შლიმანი - აწითლებული და გახელებული - მათი სახლიდან გაიქცა! თავიდან მას შეთანხმების გაუქმება და ათენიდან წასვლა სურდა, რადგან ვერაფრით შეეუგუა იმ აზრს, რომ მას მხოლოდ ფულის გამო უნდა მისთხოვებოდა ვინმე... ისიც კი გაიფიქრა - პირველივე შემხვედრ ქალს დავისვამ ცოლად, ვინც მარადიული სიყვარულის ფიცს მომცემსო (არადა, ასეთები მრავლად იყვნენ საბერძნეთში, რადგან შლიმანის ზღაპრული ქონება ყველას გონებას უბინდავდა), თუმცა მან არ გააკეთა არც ერთი და არც მეორე, რადგან უკვე ნახევრად გამელოტებულს, ცუდად მხედველს და თითქმის წელში მოხრილს, ვისაც არასოდეს შესძლებია ქალებთან არშიყი, სიგიჟემდე შეუყვარდა ხსენებული სოფია ენგასტრომენსი!

შლიმანი ათენში დარჩა... სოფია კი სულ უფრო მშვენდებოდა და მშვენდებოდა!...

„მე ის ცოლად უნდა შევირთო და მასთან ერთად ჩავატაროო არქეოლოგიური გათხრები“ - საბოლოოდ გადაწყვიტა უკუდრესობამდე შეყვარებულმა შლიმანმა.

*(დასასრული შემდეგ ნომერში)*

# თავსატეხი



| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ჟ | 2 ი | 3 უ | 4 რ | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
| 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | 32 | 33 |

# ანონსი

უახლოეს ნომერში რუბრიკით „მსოფლიო კინოს 50 ლეგენდა

# ალენ დელონი



**თარაზულად:** 1. არაპროდუქტიული ქმედების სახესხვაობა, რომელშიც მთავარია პროცესი და არა რეზულტატი. 4. ქართული ხალხური სახელწოდება ოქტომბრისა. 9. მთავარი პერსონაჟის გვარი ფილმიდან „**Белое солнце пустыни**“. 17. 60-70-იანი წწ. ქართველი საესტრადო მომღერალი, ბატონი სერგო... 18. როგორი ადამიანის როლი შეასრულა პოლ გლეიზერის 1987 წელს გადაღებულ ფილმში, სტივენ კინგის რომანის ეკრანიზაციაში, არნოლდ შვარცენეგერმა? 19. შემოსავალ-გასავლის შეფარდების ჯამის დარღვევა, ანუ რა? 22. რა გრძელდება გაბრიელ გარსია მარკესის რომანში 100 წლის განმავლობაში? 23. ძალიან მდიდარი ადამიანის დასახასიათებელი სიტყვა. 24. რა დაავადებას იწვევენ „კოხის ჩხირები“? 28. სიტყვა, რომლითაც მოიხსენიება კაცი, რომელიც ადამიანებს თავს აჩვენებს თითქოს რაღაც იცის, სინამდვილეში კი არაფერი არ იცის. 29. ის, რაც შეიძლება გააჩნდეს მანქანა-კომპიუტერს, ოღონდ ხელოვნური. 30. როგორია სპორტსმენი, რომელმაც სულ ახლახანს დაიწყო თავისი მოღვაწეობა დიდ სპორტში? 34. ე.წ. „სამეფო“ მუსიკალური ინსტრუმენტი. 35. დიდი ბრიტანეთის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული. 36. რა მმართველობის ფორმაა ვატიკანში? 37. პირენეების ნახევარკუნძულის უდიდესი მწვერვალი. 42. შექსპირისეული „ოტელოს“ მთავარი პერსონაჟი სენატორი. 43. ე.წ. „მზით გარუჯული ხალხის“ ქვეყანა აფრიკაში, საიდანაც იყო წარმოშობით მითიური ანდრომედა. 44. თეთრი ბოჭკოვანი მინერალი, რომელიც არ ატარებს სითბოსა და ელექტრობას. 45. სამეული, ანუ რა? 50. რამდენი გია არსებობს ქართულ ესტრადაზე? 51. თანამედროვე რუსული ესტრადის თმახუჭუჭა წარმომადგენელი მამაკაცი. 52. სამხედრო ან სამოქალაქო ფორმის ტანსაცმელი. 53. მხოლოდ მამაკაცებისათვის დამახასიათებელი ერთობ უამური დაავადება. 57. მცენარეთა სამყარო. 58. ასოკირკიტა წიგნის ჭიების დამახასიათებელი სიტყვა. 59. სისხლისაღრევა მეცნიერულად. 60. ჰოლივუდის მსახიობი, მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში „ნათლიმამა“, ენდი.... 65. რომის იმპერატორი, რომლის სახელიც ფიგურირებს ლიონ ფოიხტვანგერის რომანის სათაურში. 66. გავიხსენოთ სკოლაში ნასწავლი ფიზიკა – რა არის დროის ნამრავლი სიჩქარეზე? 67. ბაბილონის ბიბლიოთეკის სიმბოლოს შემქმნელი XX საუკუნეში მოღვაწე არგენტინელი მწერალი. 68. ლითონის დასამუშავებელი მბრუნავი დაზგა. 73. 80-იანი წლების ცნობილი ესპანელი ფეხბურთელი, ემილიო.... 74. ადამიანის ორგანიზმის შემადგენელი ნაწილი, რომელსაც მხოლოდ სისხლის გატარებ-გამოტარება ევალება. 75. როგორი ეწოდება სქემას, მიკრომინიატურულ ელექტრონულ ხელსაწყოს, რომლის ელემენტებიც ერთმანეთთან კონსტრუქციულად უწყვეტადაა დაკავშირებული? 79. სოფელი ზუგდიდის რაიონში. 80. შვეიცარიელი საზოგადო მოღვაწე, საერთაშორისო საზოგადოების, „წითელი ჯვრის“ შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი. 81. პალტოს ან კაბის ფასონი, რომელშიც სახელო და მხარი ერთი ნაჭრისგანაა გამოჭრილი. 82. რა ჰქვია პოლონელ მღვდელს? 87. ისტორიის მუზა ძველ ბერძნულ მითოლოგიაში. 88. ორი სიტყვისაგან შედგენილი (ფილოსოფიური) აბრევიატურა, რომელიც ამ ოციოდე წლის წინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს პირზე ეკერა. 89. პოეტ ივან ფრანკოს სამშობლო. 90. როგორი სახლი აღწერა გერმანელმა მწერალმა, ჰაინრიხ ბიოლმა თავის შემოქმედებაში? 91. XIX ს რუსი არქიტექტორი, მოსკოვის დიდი თეატრის შემქმნელი. 96. საზეიმო დათვალიერება, ანუ... 97. აშშ-ს ძალზედ ცნობილი ნავთობკომპანია. 98. ეთეროვანი ზეთის შემცველი სურნელოვანი მცენარე. 99. ქალაქი და პორტი აშშ-ში, ალასკას შტატში. 103. ვისი წირვა აღწერა ონორე დე ბალზაკმა თავის ერთ-ერთ მოთხრობაში? 104. უნგრული საჭმელი – სოუსმოსხმული ხორცის მცირე ნაჭრები. 105. რა ჰქვია წყალტუბოს ფეხბურთელთა გუნდს? 110. XVII ს გერმანელი მწერალი, ანდრეას.... 111. ე.წ. დამატება, ოღონდ კულინარიაში. 112. ჩვენს ქალაქში მეტად პოპულარული სიგარეტის მარკა. 113. როგორი ხარი გაიქცევა დაღმართში ერთი ჩვენებური ფრთიანი თქმის თანახმად? 118. ვინ არის ნათელა ურუშაძე თავისი პროფესიით? 119. დღენაკლული ბავშვი ანუ როგორი? 120. თოვლისა და ქარის ერთობლივი ქმედებით შექმნილი პროდუქტი. 124. დასავლეთ სამოას დედაქალაქი. 125. ადამიანების საგანგებო შეკრება. 126. ნატურალური საქონელგაცვლა. 127. თანამედროვე ფრანგი მოდელიორი. 128. რა ერქვა ცნობილ ბელგიელ ფეხბურთელს, შიფოს? 133. რუსულად ამ მცენარეს **Боярышник** ჰქვია... ქართულად? 134. ძვირფასბეწვიანი მღრღნელი. 135. არც თუ შორეული წარსულის ქართველი მსახიობი (გაიხსენეთ მექისე „მაია წყნეთელიდან“). 136. რაიმეს ჩასაწერი დავთარი. 140. სისხლის ნაკადით სიმსივნის უჯრედების გადატანის შედეგად ორგანიზმში გაჩენილი მეორეული კერა დაავადებისა. 141. ძეძვის ღობის გასაკეთებლად ხმარებული სარი. 142. სიცივისაგან გამოწვეული ორგანიზმის რეაქცია. 147. ვინ არის ავტორი ლექსისა „გაზაფხული შემოსულა, ლენ“? 148. ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის ურთიერთობის მომრიგებელი პირი სპორტში. 149. კიდევ როგორია ანცი და აბეზარი არსება? 150. რა სიტყვა აერთიანებთ ერთმანეთთან ორისას, ნიგერს, იაპის, მონტანას და ბაიას? 155. რა გვარი იყო დანტე ალიგიერის სატრფო ბეატრიჩე? 156. გაიხსენეთ მხედველობის არის უფრო პოეტური სინონიმი და ჩაწერეთ. 157. საფრანგეთის რესპუბლიკური კალენდრის თვე. 161. ცხიმით მდიდარი ცხარე თესლის მქონე ერთწლოვანი მცენარე ჯვაროსანთა ოჯახიდან. 162. სიტყვა „შეხედულების“ სინინიმი. 163. ქალაქი აშშ-ში, ვისკონსინის შტატში. 164. პატარა, ჯუჯა ცხენი. 165. თანამედროვე რუმინელი ფეხბურთელი. 166. ნერწყვის გამოყოფა




მეცნიერულად. 167. სუკრე – ეკვადორი, ბოლივარი – ვენესუელა, კრუზეირო – ბრაზილია... ოქროს კორდობა – სად? 168. ქართული მხატვრული ფილმი ოსი ქალის შესახებ.

**შვეულად:** 1. ვინ იყო ენგელსი მარქსისთვის, ან კისა ვორობიანინოვი ოსტაპ ბენდერისათვის? 2. ქცევის თავისებურება. 3. ალექსანდრე ჩხაიძის პიესა. 5. ქალაქი ახალციხის რაიონში. 6. ალბერტ აინშტაინმა ეს მოვლენა შეადარა ვარჯიშს, როცა მოკრივეების „გრუშას“ აქეთ-იქიდან ბევრი მოკრივე ურტყავს გამუდმებით... აქ მეცნიერის გვარი ჩაწერეთ რომლის გვარიც დაენათლა ამ მოვლენას. 7. XX ს იტალიელი მწერალი, ავტორი რომანებისა „სკარამუში“, „კაპიტან ბლადის თავგადასავალი“ და სხვ. 8. ავსტრიის დედაქალაქი. 10. ერთ-ერთი პირველადი სახის კომპიუტერის სახელწოდება. 11. მეომრის ჯაჭვის ქუდი. 12. ცხვირში ჩასაწვეთებელი წამალი. 13. რა ჰქვია ნოდარ დუმბაძისეულ ექიმს, რომელიც ყველა დაავადებას ერთი პრეპარატით კურნავს? 14. ჩავარდნილი ადგილი მთებს შორის. 15. ქალაქი აშშ-ში, ნიუ-მექსიკოს შტატში. 16. დედამიწის უმაღლესი მთათა სისტემა. 20. შორეული ნაოსნობის დიდი საოკეანო გემი. 21. პოპულარული ეროტიკული ჟურნალი. 25. VII-X საუკუნეების ბიზანტიაში თავისუფალი მემამულე, რომელიც ვალდებული იყო სამხედრო სამსახური გაეწია. 26. საქართველოსთან ძლიერ დაახლოებული კინორეჟისორი ზაარბრიუკენიდან. 27. ვერცხლის წვრილი ფული ძველ რომში. 31. მსოფლიო კინოს „ცისფერი ანგელოზი“. 32. ალიაქოთი, არეულ-დარეულობა, აურზაური... კიდევ? 33. ერთმანეთში არეულ-დარეული ბოსტნეულისაგან მომზადებული საჭმელი. 38. მომცრო ჩაღრმავენა მთის ორ სიმაღლეს შორის. 39. რძის პროდუქტი. 40. 1854 წ მსოფლიოში პირველი უსაფრთხო ლიფტის გამომგონებელი, ამერიკელი ინჟინერი, ელიშა... . 41. ძირითადი, გაბატონებული იდეა. 46. ძალზედ გახმაურებული ფილმი დემი მურისა და პატრიკ სუეიზის მონაწილეობით. 47. ავთანდილის „ქმნილება“. 48. XVI ს გერმანელი ფერმწერი და გრაფიკოსი, ლუკას.... 49. ჩასვით გამოტოვებული სიტყვა ცნობილ სტროფებში:

„შენც ცოცხალი ხარ, შენი მგოსნებიც
და გაქრქოლება მათი გულისა,
თავშესაფარი რამდენ ოცნების,
იყავ ბანაკი ....................!“

54. ოქროს მაძიებელთა „მექა“-ოლქი ახლო წარსულში კანადის ჩრდ.-დასავლეთით. 55. XVIII ს შოტლანდიელი მათემატიკოსი, კოლინ.... 56. ერთი და იმავე პროფესიის ადამიანთა ერთობლიობა. 61. როგორია ხოლმე, ძირითადად მეტად „კაპრიზული“ ადამიანი? 62. რა უძღვის წინ „მაშეს“? 63. ბულგარეთის დედაქალაქი. 64. **იხილეთ ფოტო** და იმ საზოგადოების აბრევიატურა ჩაწერეთ, რომლის ახლანდელი მმართველიცაა ეს კაცი. 69. დიდი ქართველი მსახიობი ქალის სახელი. 70. პაბლო პიკასოს უმთავრესი ქმნილება. 71. საბჭოეთის ეპოქის რუსი ფერმწერი და გრაფიკოსი. 72. ისტ. ოლქი გერმანიაში. 76. რა ერქვა პირად მცველს ძველ რომში? 77. რუსი საესტრადო მომღერალი და კინომსახიობი, მარკ.... 78. პერსონაჟი ჯორჯ ბერნარდ შოუსეული „პიგმალიონისა“. 83. ჟაკ ივ კუსტოს გამოგონება. 84. რა ჰქვია ეკოს, თანამედროვე იტალიელ მწერალს? 85. დიდი ბუ, ანუ.... 86. დედამიწის ერთ-ერთი „ბინადარი“. 92. ძვირფასი ქვა, რომელიც ძველი ბერძნების წარმოდგენით ადამიანს დათრობისაგან იცავდა. 93. რა ერქვა სენტ-ეკზიუპერის, ავტორს სახელგანთქმული „პატარა უფლისწულისას“? 94. „ორი ქურდის კავშირი, რომლებსაც ერთმანეთის ჯიბეებში ისე ღრმად აქვთ ხელი ჩაყოფილი, რომ მათ არ ძალუძთ უერთმანეთოთ გაქურდონ მესამე“... რომელი კავშირი იგულისხმა ამ სიტყვებში ამბროზ ბირსმა? 95. რა ეწოდება კაცს, რომელსაც თავი დიდ ვინმედ მოაქვს? 100. ინგლისურად - **sable**, რუსულად - **соболь**, ქართულად - ....? 101. პონტოს ცნობილი მეფე. 102. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეცნიერული საფუძვლები. 106. პლანეტა სატურნის თანამგზავრი. 107. მონღოლი მმართველი. 108. 16 მარცვლიანი ლექსი. 109. ადგილი, სადაც ნორმალურ ადამიანებს ხელის ცეცებით ტვინი უობობისქსელდებათ. 114. მსხვილი სამრეწველო საწარმო. 115. რა საერთო სახელი ჰქვიათ ლეშის მჭამელ ცხოველსა თუ ფრინველს? 116. მთავარი პერსონაჟი ერიხ მარია რემარკის რომანისა „ერთი სიყვარულის ისტორია“, ლილიან... 117. მხატვრული ნაწარმოების სახესხვაობა. 121. კაცი, რომელმაც, როგორც ამბობენ, საქართველოშიც კი იმოგზაურა (სახელი და გვარი). 122. დილის სიმღერა. 123. დაოსიზმის ფუძემდებელი, ავტორი ჩინური ფილოსოფიის კლასიკური ნაწარმოებისა – „დაო დე ძინი“. 129. ორი შესაძლო ვარიანტიდან ერთის ამორჩევის აუცილებლობა. 130. ცეცხლსასროლი იარაღის ერთ-ერთი ტიპის კონსტრუქტორი გერმანელი ძმების გვარი. 131. სანტა კლაუსის საცხოვრებელი ბუნებრივი ოლქი შვეციის ჩრდილოეთში. 132. ერთ-ერთი ბაქოელი კომისარი. 137. XIX ს იტალიელი მწერალი, ალესანდრო.... 138. როგორია ყოველი რელიგიურ კულტთან თუ რიტუალთან დაკავშირებული ქმრდება? 139. ვინ არის შექსპირისეული ოტელო? 143. რუსი მწერლის, გონჩაროვის რომანი. 144. ტყეს, სადაც ბევრი მუხა ხარობს მუხნარი ან მუხიანი ჰქვია... რა ერქმევა ტყეს, სადაც ბევრია ხე, რომელსაც რუსები **сосна**-ს ეძახიან? 145. სხვადასხვა შემადგენლობის აზოტმჟავა მარილი. 146. ლექესისის და კლოტოს და მოირა ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში. 151. ერთ ეკლესიაში შეკრებილი მორწმუნეთა საერთო სახელი. 152. XX ს ინგლისელი მწერალი, ესსეისტი და კრიტიკოსი, ავტორი ანტიუტოპიური რომანისა „საკვირველი მომავალი მსოფლიო“. 153. სერგეი რახმანინოვის ოპერა. 154. XX ს იაპონელი მწერალი, II მსოფლიო ომში იაპონიის დამარცხების პროტესტის ნიშნად სიცოცხლე დაასრულა ჰარაკირით. 158. მდინარე გერმანიაში. 159. ბერძნული ანბანის პირველი ასო. 160. სიკეთა სულიერი მასწავლებელი.



# საკროსვორდო ენციკლოპედია

**ბაგრამიანი** მოვსეს - სომეხი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწე XVIII ს.

**ბაგრატი** - ადრეფეოდალურ ხანაში რამოდენიმე ქართველი მეფის სახელი.

**ბაგრატიონები** - ქართველ მეფეთა დინასტია IX-XIX საუკუნეებში.

**ბაგრატიონი** დიმიტრი - XVIII-XIX სს ქართვ. პოეტი, მთარგმნელი.

**ბაგრატიონი** ნიკო - 1899-1902 წწ ინგლის-ბურების ომის აქტიური მონაწილე, ავტორი მოგონებების წიგნისა „ბურებთან“

**ბაგრატიონი** პეტრე - რუსეთის არმიის ინფანტერიის გენერალი, 1812 წ ნაპოლეონის წინააღმდეგ ომის მონაწილე.

**ბაგრატუნები** - გავლენიან მთავართა ძველი საგვარეულო სომხეთში.

**ბაგრაშკიოლი** - ტბა ჩინეთში.

**ბაგრიანა** ელისავეტა - XX ს ბულგარელი პოეტი ქალი.

**ბაგრიშთა** - მდინარე გაგრის მახლობლად.

**ბაგრიცკი** ედუარდ - XX ს რუსი პოეტი.

**ბაგუნი** - ბაგაბუგით ცემა.

**ბადაანი** (ბადათი) - სოფელი ზნაურის რ.

**ბადაგი** - შესანახად მოდუღებული ყურძნის წვენი.

**ბადალი** - ტოლი, სწორი.

**ბადალონა** - ქალაქი ესპანეთში, ბარსელონას ოლქი.

**ბადახოსი** - ქალაქი ესპანეთში, ბადახოსის პროვ. ცენტრი.

**ბადახში** - წითელი ფერის ძვირფასი ქვა.

**ბად-გოდესბერგი** - ქალაქი გერმანიაში, რაინ-ვესტფალიის მხარე.

**ბადე** - თევზის საჭერი მოწყობილობა.

**ბად-ელსტერი** - კურორტო გერმანიაში.

**ბადენი** - ქალაქი შვეიცარიაში, აირგაუს კანტონი.

**ბადენი** - ქალაქი-კურორტი ავსტრიაში.

**ბადენი** - გერმანიის ისტ. რეგიონი.

**ბადენ-ბადენი** - ქალაქი გერმანიაში.

**ბადენ-ვიურტემბერგი** - გერმანიის მხარე.

**ბადეფრთიანები** - მტაცებელი მწერების რიგი.

**ბადექონი** - ქონის ფენა, რომელიც მუცლის არეში შიგნეულზეა მიკრული.

**ბადია** - ქუსლიანი დიდი ჯამი.

**ბადიანი** - მარადმწვანე ხეები ილიციუმისებრთა ოჯახისა.

**ბადიარიხა** - მდინარე რუსეთში (იაკუტია).

**ბადიაური** - სოფელი საგარეჯოს რ.

**ბადიმი** - ორმოს სახურავი (ფიცრისა).

**ბადინგსი** ჰენკ - XX ს ნიდერლანდელი კომპოზიტორი.

**ბადიში** - შვილიშვილი.

**ბადიში** (ჭიდილა) - ულელტეხილი ხულოს რნ

**ბად-იშლი** - კურორტი ავსტრიაში.

**ბად-კისინგენი** -ქალაქი გერმანიაში, ბავარიის მხარე.

**ბადმინტონი** - სპორტის სახეობა, თამაში ვოლანით.

**ბად-ნაუჰაიმი** - კურორტი გერმანიაში.

**ბადოლიო** პიეტრო - XIX-XX სს იტალიის სამხ. და სახ. მოღვაწე.

**ბადრაგა** - გამყოლ-გამცილებელი შეიარაღებული რაზმი.

**ბადრი** - სავსე, სრული (ითქმის მთვარეზე).

**ბადრი** - ამირანის ძმა (მითოლ.).

**ბადრიძე** დავით - მომღერალი და პედაგოგი-ვოკალისტი.

**ბადრიჯანი** - ბოსტნეული მცენარე.

**ბადრო** - მძლეოსნობის სპორტული იარაღი.

**ბადუევი** საიდ - ჩეჩენი მწერალი.

**ბადულა** - ქალაქი შრი-ლანკაში.

**ბადუი** - ინდონეზიაში კ. იავაზე მცხოვრები ხალხი.

**ბადურა** - ბადისებრად ნაქსოვი რამ; თვალის ბადისებრი გარსი.

**ბადურა** - პატარა თანავარსკვლავედი ცის სამხრ. ნახევარსფეროზე.

**ბად-შანდაუ** - ქალაქი გერმანიაში.

**ბაეტარი** (პეიტარი) - ცხენის მკურნალი (საბა).

**ბავარები** - გერმანული ტომები.

**ბავარი** - სოფელი ლენტეხის რ.

**ბავარია** - მხარე გერმანიაში.

**ბავენდა** - სამხრ. აფრიკისა და როდეზიის საზღვართან მცხოვრები ხალხი.

**ბავთი** - ბოროტი მოამბე (საბა).

**ბავიუ** - მდ. ბზიფის მარჯვ. შენაკადი.

**ბავლი** - დასაგეში ქორშავარდნის პირველად დაჭერილი ფრინველი.

**ბავრა** - სოფელი ახალქალაქის რ.

**ბავრაყი** - ეკლესიის დროშა (საბა).

**ბავშვი** - ადამიანის შვილი დაბადებიდან ყრმობამდე.

**ბავშვობა** - ბავშვის ასაკი; უეშმაკობა.

**ბაზა** - საფუძველი, საყრდენი, საწყობი.

**ბაზაზი** - ფართლეულის ვაჭარი.

**ბაზალეთი** - სოფელი და ტბა დუშეთის რ, სოფელი ხარაგაულის რ.

**ბაზალიომა** - კანის სიმსივნე.

**ბაზალტი** - ვულკანური წარმოშობის ქანი.

**ბაზარდუზუ** - მწვერვალი აზერბაიჯანის კავკასიონზე.

**ბაზარი** - დიდი სავაჭრო ადგილი; საქონელგაცვლის სფერო.

**ბაზარი** - ისტ. ქალაქი ფეოდალურ საქართველოში, დღევანდელ ქალაქ ბელაქანთან.

**ბაზარი** - ლაპარაკი (ჟარგ.).

**ბაზარი** სენტ-ამან - XIX ს დას. ფრანგი სოციალისტ-უტოპისტი.

**ბაზედოვი** იოჰან ბერნჰარდ - XVIII ს გერმანელი პედაგოგი.

**ბაზელი** - ქალაქი შვეიცარიაში.

**ბაზენი** აშელ ფრანსუა - XIX ს საფრანგეთის მარშალი.

**ბაზენი** ერვე - XX ს ფრანგი მწერალი.

**ბაზი** - მონადირე ფრინველი.

**ბაზი** (ბაზე) - სიმწიფეში შესული მარცვლეული.

**ბაზი** - ბუდის მშენებელი მწერი ფუტკრისებრთა ოჯახისა.

**ბაზიდიუმი** - სოკოების სასპორე ორგანო.

**ბაზიერთუხუცესი** - სანადირო უწყების უფროსი ძველ საქართველოში.

**ბაზიერი** - ქორ-შავარდენთა სანადიროდ დამგეშელი.

**ბაზილდონი** - ქალაქი დიდ ბრიტანეთში, ესექსის საგრაფო.

**ბაზილევიჩი** ოლეგ - ძველი კიეველი ფეხბურთელი.

**ბაზილიკა** - არქიტექტურული სტილი, უგუმბათო ნაგებობა.

**ბაზილიკატა** - იტალიის ოლქი.

**ბაზილიო** - კატის სახელი ალ.ტოლსტოის „ბურატინოს თავგადასავალში.

**ბაზისი** - საზოგადოების ეკონომიკური წყობილება, საწარმოო ურთიერთობათა ერთობლიობა.

**ბაზიფიკაცია** - დედამიწის კონტინენტური ქერქის ოკეანურ ქერქად გარდაქმნის პროცესი.

**ბაზიქითა** - სოფელი გუდაუთის რ.

**ბაზმა** - ზეთის პატარა სანათი.

**ბაზო** - კარის გულფიცრის ჩარჩო.

**ბაზოფილია** - უჯრედული სტრუქტურის უნარი შეიღებოს ფუძე საღებრებით.

**ბაზრობა** - დაწესებულ დროსა და დანიშნულ ადგილას გამართული ვაჭრობა.

**ბაზუანი** - სოფელი ახალგორის რ.

**ბათარია** - სოფელი სენაკის რ.

**ბათერსტი** - კუნძულების ჯგუფი პარის არქიპელაგში, ეკუთვნის კანადას.

**ბათი** - ქალაქი ინგლისში, ვივიონის საგრაფო.

**ბათიალი** - მსოფლიო ოკეანის შუალედური ზონა.

**ბათ-იამი** - ქალაქი ისრაელში.

**ბათიაშვილი** გურამ - დრამატურგი.

**ბათიაშვილი** ირაკლი - პოლიტ. მოღვაწე.

**ბათიბიონტები** - ზღვის ცხოველები.

**ბათილამა** - ვალდებულების რაიმე გზით განაღდების საბუთი.

**ბათილი** - ძალადაკარგული

**ბათიპლანი** - ბუქსირით სატარებელი ერთადგილიანი წყალქვეშა კამერა.

**ბათირი** - წოდება, რომელსაც თურქი ხალხი და მონღოლები ანიჭებდნენ გამოჩენილ მეომრებს.

**ბათისკაფი** - ოკეანოგ-

(213, სულ 4535)

**თარაზულად**: 1. ჯეინ ეარის ქმრის გვარი. 6. აბრევიატურა, რომლის უკანაც მოსკოვის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი დგას. 10. სალექსო ზომა. 11. ძაღლის ჯიში. 12. სიტყვა, რომელიც სასაუბრო მეტყველებაში ხშირად „ძვირფასეულობას“ ცვლის. 13. ცარიზმის ეპოქის ე.წ. „ძალოვანი სტრუქტურა“. 14. ასე ვთქვათ „გამაძლიერებელი“ სანოტო ნიშანი. 15. (სინიორ) კალვინო, იტალიელი მწერალი-ნეორეალისტი. 16. ბუნებრივი სარტყელი, რომელიც მხოლოდ რუსეთსა და უნგრეთში გვხვდება. 17. ძველი თბილისის ცხოვრების აუცილებელი პერსონაჟი. 19. მდინარე იტალიაში. 20. ვაჟას „ბახტრიონის“ პერსონაჟი. 23. ჩილეს პრეზიდენტი 70-იან წლებში. 24. მათემატიკური ცნება. 27. საუბრის შემადგენელი ნაწილი. 28. იტალიის საფეხბურთო კლუბი. 29. ჩვენში გავრცელებული ვაზის ჯიში. 31. ჩვენი რელიგიის მთავარი სუბიექტის ერთ-ერთი ეპითეტი. 32. მხატვარი-გამფორმებელი ანუ ვინ? 33. შესანიღბი საშუალება. 37. XVIII ს დასასრულის ფრანგი პოეტი-პუბლიცისტი. 38. ომში დამარცხებულ მხარეზე დაკისრებული ფულადი გადასახადი. 40. იგივეა, რაც გულგრილობა. 41. საგანგებო კვლევისათვის გამოყენებული დაბალი წნევის კამერა.



**შვეულად**: 1. გლზუნოვის ბალეტი. 2. სუბიექტი, რომელთაგან „არცერთი“ არ უნდა ყოფილიყო ჩვენს გვერდით კომუნისტობისას. 3. წამახალისებელი რამ ანუ რა? 4. გარემოს დაცვისადმი მიმართულ ღონისძიებათა ერთობლიობა. 5. ქალაქი აშშ-ში. 6. ქალაქი ბულგარეთში. 7. ცხოვრების მშვიდობიანი დინების ამფორიაქებელი კრიმინალური ელემენტი. 8. ამერიკელი მწერალი, ავტორი რომანისა „მრისხანების მტევნები“. 9. ძალადობრივი ჩაგვრის სახესხვაობა. 18. იაპონური სალექსო ფორმა. 20. ქალაქი პოლონეთში. 21. XX ს უნგრელი კომპოზიტორი (სახელი და გვარი, შუალედის გარეშე). 22. ხმელთაშუა ზღვის კუნძული. 23. ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი. 25. ცხოვრების მშვიდობიანი დინების ამფორიაქებელი შემოქმედებითი ელემენტი. 26. მევენახეობა-მეღვინეობის ქართული ღვთაება. 27. საფრანგეთ-გერმანიის საზღვარზე მდებარე ისტ. რეგიონი. 30. მახლ. აღმოსავლეთის ერთ-ერთი ძირითადი მცხოვრები. 31. იტალიური „ელფერის“ მქონე სახელი ქალისა, ახლო წარსულში ჩვენთანაც გამოყენებული. 32. ცივი იარაღი. 34. ინფორმაციის გამავრცელებელი სუბიექტი. 35. გუცაევი-ყიფიანი-შენგელია. 36. (ბატონი) ქექია, დემნა შენგელაის რომანის მთავარი გმირი. 39. სააღდგომო ხე.





**თარაზულად**: 1. ვალერი მელაძის სათაყვანებელი ბოშა ქალი. 3. ავტომობილის კვების წყარო. 8. **NBA**-ს ლეგენდარული ვარსკვლავი. 13. სისხლის გათეთრება მეცნიერულად. 14. ორგანიზმის შეუვალობა შხამის, დასნებოვნების მიმართ. 15. „რუსთავი 2“-ის ტელესერიალი არადედამიწლი არსების შესახებ. 18. რეგიონი ევროპაში, რომელიც ხუთ ქვეყანას შეიცავს. 19. სპეციალური ასასხლეტი მოწყობილობა ხტომის სიგრძისა და სიმაღლის გასადიდებლად. 23. იტალიური ავტომობილი. 24. უდიდესი გერმანელი კომპოზიტორი. 25. ბულგარული წვრილი ფული. 28. რა ერქვა ამუნდსენს, ნორვეგიელ პოლარულ მკვლევარს? 29. ვინ იყო მერი პოპინსი? 30. იტალიური „ნიღბების კომედიის“ პერსონაჟი. 34. 40-იანი წწ ბოლოს ამერიკელი მეცნიერის ნ. ვინერის მიერ შექმნილი მეცნიერება... სწავლობს ინფორმაციის მიღებას, შენახვასა და გადაცემას. 35. ტბა ჩრდილოეთ რუსეთში. 36. კოკოჩაშვილის ფილმში ის მწვანეა, ისე კი არსებობს ელექტრომაგნიტურიც და გრავიტაციულიც... 40. ქალაქი რუსეთში. 41. რუსეთის მიერ აშშ-სთვის მიყიდული ტერიტორია. 42. კუნძული პოლინეზიაში, პოლ გოგენის შთაგონების წყარო. 47. საკვები პროდუქტების მაღაზიის სახეობა ყოფილ სსრკ-ში. 48. ბაქტერიების მოსპობის მეთოდი გამოხარშვით. 50. მომღერალი, რომელიც მოცემული კროსვორდის „უვერტიურას“ ასრულებს. 51. გამალებული შეიარაღება. 52. პროექტის პირველწყარო 55. ლენინის ახალი ეკონომიკური პოლიტიკის მოკლე სახელი. 56. ღვინის სიძულვილი. 57. კბილის სიმაგრისათვის აუცილებელი ქიმიური ელემენტი. 61. რუსეთის ეროვნული დაავადება (...მათივე მტკიცებით). 62. თერძის სა-მუშაო იარაღი. 66. მცენარე, რომელსაც კარლ ლინეიმ „თეობრომა“, ანუ „ღმერთების სასმელი“ უწოდა. 67. მიცვალებულის მიმართვა შთამომავლობისადმი. 68. ცხენზე ამხედრებისათვის საჭირო ინვენტარი. 72. სამგზავრო ბილეთების დასაფიქსირებელი ხელსაწყო. 73. მსოფლიოში ცნობილი ნავთობის კომპანია. 74. მარკ ტვენი ამბობდა, რომ „ჭეშმარიტ მეგობრობას სიკვდილის ბოლომდე შეიგრძნობს მხოლოდ ის, ვისაც არასოდეს აუღია.....“ რა? 77. მუსიკოსთა ჯგუფი, რომლებიც ჯაზურ კომპოზიციებს ასრულებენ. 78. არეულ-დარეულ-ობა... თუნდაც სახელმწიფოში. 79. სამკურნალო დაწესებულება. 84. ლაღი, ნარნარი ფრენა. 85. ინგლისელი მეცნიერი, რომელიც ვერ არჩევდა წითელ და მწვანე ფერებს... 86. ორგანული ნაერთი, რომლის ფორმულაც, როგორც ამბობენ, ძილში დაესიზმრა ერთ ცნობილ მეცნიერს. 90. საერთო ცნება ჭადრაკსა და პარლამენტარიზმში? 91. ამაზონის წყლების სისხლისმსმელი თევზი. 92. ვინ იყო ჯეიმს ბონდი? 93. მშვიდი, აუღელვებელი ცხოვრება. 94. ლინგვისტური მოვლენა, როდესაც ერთი ბგერა ჩაენაცვლება მეორეს. 95. ჩვილ ბავშვთა მოსავლელი დაწესებულება.

**შვეულად:** 1. ადამიანის არამატერიალური ნაწილი, რომლის მასაც, მეცნიერთა გამოკვლევით 0,04 გრამს შეადგენს. 2. ამ ტერმინს სხვაგვარად მეტემფსიქოზა ჰქვია და სულთა გადასახლებას აღნიშნავს. 4. სამარის საფეხბურთო კლუბის მოფერებითი სახელი. 5. ბაღის გასანათებელი სანათი მოწყობილობა. 6. საკრავის ან ხმის ჟღერადობის ელფერი. 7. ელ.ძრავის მოძრავი ნაწილი. 9. საბჭოელი მოღვაწე, რომლის სახელიც ქალაქ ტვერს ერქვა. 10. სახელი კაცისა, რომელიც დუმს უცნობის რეპერტუარში. 11. მსოფლიო პოპ-მუსიკის „ბებია“. 12. სპეციალისტი, რომელიც პროფესიული მოვალეობის გამო გვიძვრება პირში. 16. ბრძოლის ამსახველი სურათების მხატვარი. 17. ლეგენდარული ფრანგი ფეხბურთელი. 20. გეომეტრიული სხეული. 21. რა ერქვა ფრანგ მწერალს, ლანუს? 22. სსრკ-ს სამართალდამცავი ორგანო. 26. სამხედრო ნაწილი, რომელიც განლაგებულია ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტის გამაგრებულ ნაწილში. 27. მწვავე ტკივილის შეტევა გულის არეში. 31. ქართული ფეხბურთის ისტორიაში მეორე ფეხბურთელი, ვინც მიუნხენის „ბაიერნს“ გოლი გაუტანა. 32. სასწავლო დაწესებულება. 33. ქიმიური საშუალება მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ საბრძოლველად. 37. რა ჰქვია თარჯიმანს აღმოსავლეთის ქვეყნებში განლაგებულ საელჩოებში? 38. მამაკაცური ღირსების წართმევის მეცნიერული ფორმა. 39. შუა სს ჩრდ. გერმანიის სახელწოდება, ამჟამად კი როსტოკის საფეხბურთო კლუბი. 43. როგორია კატის მიერ შეჭმული რძე? 44. გამოთქმა, რომელიც სხვადასხვანაირად შეიძლება იქნეს გაგებული. 45. ჰავასთან დაკავშირებული, ანუ როგორი? 46. დიდი, ფართო გზა. 49. ქართულ ფულს ახატია. 53. ხელისგულზე მკითხაობაში დახელოვნებული პირი. 54. რომელიმე კიდურის შემცვლელი. 58. მომენტალური ფოტოს სახელწოდებით გავრცელებული ერთგვარი ფოტოაპარატი. 59. რა მოხდა ლონდონში 1666 წელს? 60. ჯეკ ლონდონის შთაგონების გეოგრაფიული ობიექტი კანადაში. 63. რა უნდა გაწიო, რომ მუდამ შამპანიურს სვამდე? 64. წყალზე გაშენებული ქალაქი ევროპაში. 65. ვალად აღებული რამ. 69. ვინ იყო მონტესუმა აცტეკებისათვის? 70. სამშენებლო-მოსაპირკეთებელი მასალა. 71. რისამე შესწავლა დაშლის გზით. 75. ყელის ერთ-ერთი დაავადება. 76. რა არ გააჩნია ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდას“? 80. ციტრუსოვანი ხილი. 81. ზრრდადაუსრულებელი ქათამი. 82. კორდელიას და გონერილიას და. 83. სიახლის შიში. 87. გამხმარი ხილი. 88. ის, რასაც მოუთმენლად ელის მოსწავლე 45 წუთის განმავლობაში. 89. მთაწმინდაზე განლაგებული ობიექტი.

# იაპონური დანამატით



# მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონები პროფესიონალ მოკრივეთა შორის

## ჯეკ შარკი

### მეათე ჩემპიონი

### 1932-1933 წლები

ჯეკ შარკი (პაულ ჟუკაუსკასი) დაიბადა ლიტველი ემიგრანტების ოჯახში 1902 წლის 26 ოქტომბერს. 12 წლის ასაკიდან დამოიკიდებელ შრომით საქმიანობას შეუდგა. პირველი მსოფლიო ომის დროს მოხალისედ ჩაეწერა აშშ-ს არმიაში. რამოდენიმე წლის განმავლობაში იყო მეზღვაური, რაც შეეხება კრივს, სპორტის ამ სახეობას იგი 16 წლისა დაუკავშირდა, როგორც მოყვარული. მის კარიერას თავიდანვე წარმატებები დაჰყვა თან და ეროვნული გვარდიის ჩემპიონობაც კი მოიპოვა. როცა ჯინ ტუნეომ რინგი დატოვა, ჯეკ შარკს გაუჩნდა შანსი მისი ადგილი დაეკავებინა... ამერიკის პუბლიკა დიდი ხნის განმავლობაში ადევნებდა მას თვალს და მისი პირველი სერიოზული გამოცდა 25 წლის ასაკში შედგა, როცა იგი ჯეკ დემპსის წინაშე წარდგა, როგორც პრედტენდენტი და მის მიერ ნოკაუტირებული იქნა. ყველას ეგონა, რომ ამის შემდეგ ჯეკი პრეტენზიას აღარ განაცხადებდა ჩემპიონის ტიტულზე, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.



შარკი 96 კილოგრამს იწონიდა და დიდი ფიზიკური ძალა გააჩნდა, თუმცა კრივის ხელოვნება ყოველთვის მოიკოჭლებდა მის კარიერაში, რადგან კრივში ასპარეზობა მან სამხედრო ხომალდზე სამსახურისას დაიწყო და მისთვის მთავარი ყოველთვის დიდი ფიზიკური ძალის იმედზე ყოფნა იყო. დროთა განმავლობაში ყოფილმა მეზღვაურმა გამოცდილებასთან ერთად საკუთარი ტექნიკური უსუსურობის დამალვაც ისწავლა და მისი კარიერის ზენიტი ამიტომაც ოდნავ მოგვიანებით დადგა.

შარკის მოპოვებული აქვს გამარჯვებები ისეთ ცნობილ მოკრივეებთან როგორებიც იყვნენ დიდი ბრიტანეთის ჩემპიონი ფილ სკოტი (მესამე რაუნდში - ნოკაუტით), მსოფლიოს ჩემპიონები ქვემძიმე წონაში ამერიკელები ტომ ლაურენი და ჯეკ დელანი და ბოლოს, შესანიშნავი მძიმეწონოსანი იანგ სტრიბლინგი, რომელიც მანამდე თავად აცხადებდა პრეტენზიას ჯინ ტუნეის მიერ დატოვებულ ტიტულზე. სტრიბლინგათან გამარჯვების შემდეგ ჯეკ შარკი ჩემპიონობის მოპოვების ერთ-ერთი პრეტენდენტი გახდა, მაგრამ საჭირო იყო მეორე პრეტენდენტიც და ასეთი პიროვნება ამერიკელთა შორის რომ ვერ მოინახა, მისი ძიება ევროპაში დაიწყეს. ევროპაში კი ყველა ქვეყანას ჰყავდა საამისო პრეტენდენტი და მატჩის ორგანიზატორებს დიდი ჯაფა დაადგათ მის შესარჩევად, თუმცა მოხდა ისე, რომ გერმანელმა მაქს შმელინგმა სწორედ მაშინ მოიგო ევროპის ჩემპიონატი და ასე გაირკვა მეორე პრეტენდენტის ვინაობა.

1930 წლის 12 ივნისს მაქს შმელინგი და ჯეკ შარკი ერთმანეთის წინააღმდეგ წარდგნენ. სამი პირველი რაუნდი შარკის აშკარა უპირატესობით წარიმართა, შმელინგს მარჯვენა თვალი მთლად ჩაულურჯდა და მხედველობა წაერთვა. მეოთხე რაუნდში კი უპირატესობა გერმანელის მხარეს გადავიდა, მან რამოდენიმე ძლიერი დარტყმა მიაყენა მოწინააღმდეგეს თავში და ამით გაოგნებულმა შარკიმ წელსქვემოთ მიაყენა დარტყმა შმელინგს... ეს უკანასკნელი ნოკაუტში ჩავარდა, შარკის კი მსაჯებმა დისკვალიფიკაცია მისცეს. ასე რომ, რინგზე მწოლიარე შმელინგი მსოფლიო ჩემპიონად გამოცხადდა, რისთვისაც მას „ჰორიზონტალური ჩემპიონი“ შეარქვეს და ეს საკითხი დღემდე ირონიზირებას ექვემდებარება კრივის სპეციალსიტთა შორის. ჯიუტმა შარკიმ ორიოდე დღის შემდეგ მატჩ-რევანში მოითხოვა და ამის მორალური უფლებაც ჰქონდა, რადგან მისი დისკვალიფიცირება უნებლიე შეცდომის ბრალი იყო და სხვა არაფერი. მაგრამ ამგვარი მატჩი ვერ შედგა იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ ბედნიერი შმელინგი ამ დროს გემზე იმყოფებოდა და სამშობლოში ბრუნდებოდა. იგი გერმანიაში ეროვნულ გმირად დაბრუნდა და ეს ფაშისტური პროპაგანდისათვის მეტად საჭირო ფაქტი აღმოჩნდა, რომელიც სწორედ მაშინ ქადაგებდა არიული რასის უპირატესობას.

შარკის კი შურისძიების გრძნობა ახრჩობდა და მზად იყო ყველასათვის მოენგრია ყბები, ვინც მსოფლიო ჩემპიონობაში მას შეეცილებოდა. ერთი ასეთი 120 კილოგრამიანი, გამოუცდელი იტალიელი პრიმო კარნერაც აღმოჩნდა, რომელმაც ძლივს გაუძლო შარკის გაუგონარ ძალას და უკანასკნელ რაუნდებში სავარჯიშო ტომარასავით ეკიდა რინგზე.ამერიკის პუბლიკა კი შარკისთან ერთად რევანშის მოლოდინში იყო და სიტუაცია თანდათან იძაბებოდა. რევანში 1932 წლის 21 ივნისს შედგა. შმელინგი მატჩისათვის შესანიშნავად იყო მომზადებული, სპეციალისტების მტკიცებით ამ თხუთმეტრაუნდიან ბრძოლაში გერმანელმა 8 მოიგო, 6-ში შარკის ჰქონდა უპირატესობა, ერთი კი თანაბარ ბრძოლაში აღინიშნა, მაგრამ რეფერიმ მაინც შარკის ხელი აწია გამარჯვების ნიშნად. პუბლიკა კი შედეგით უკმაყოფილო დარჩა და შმელინგი უფრო დიდი სიმპატიით გააცილეს რინგიდან, ვიდრე მსოფლიოს ახალი ჩემპიონი. შარკიმ კი დიდი ხნით ვერ შეინარჩუნა ეს ტიტული; ერთი წლის შემდეგ, 1933 წლის 29 ივნისს ნიუ-იორკის სტადიონ „ლონგ-აილენდზე“ შედგა მატჩი ჯეკ შარკისა და გამოცდილებაშეძენილ პრიმო კარნერას შორის. მსოფლიოს ჩემპიონმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია იტალიელ გოლიათს, მეორე და მეხუთე რაუნდში მან თითქმის ნოკაუტამდე მიიყვანა საქმე, მაგრამ მეექვსე რაუნდში კარნერა მიძინებული ვულკან ვეზუვუვით გამოფხიზლდა და ორი ძლიერესი დარტყმით ძირს დასცა შარკი.

ამის შემდეგ შარკი კიდევ რამოდეენიმე წლის განმავლობაში გამოდიოდა რინგზე, მაგრამ წარმატებების გარეშე, უკანასკნელი ბრძოლა კი მან კრივის ამომავალ ვარსკვლავ ჯონ ლუისთან გამართა...

ჯეკ შარკი 8 წლის განმავლობაში ირიცხებოდა მსოფლიოს 10 საუკეთესო მოკრივეთა სიაში და 3-ჯერ პირველ ნომრად იყო დასახელებული.

მსოფლიოს 1932-33 წლების ჩემპიონი პროფესიონალ მოკრივეთა შორის 1994 წლის 17 აგვისტოს 92 წლის ასაკში გარდაიცვალა.



პატარა მაიმუნი
(.....) კლოდელი
ნავში რომ ზის
მოხსენება
დიდი სატვირთო მანქანა
გამარჯვების ქალღმერთი
ინდიელთა ტომი
აკრძალვა
სასწორ. თეფში
რუსეთის ქალაქი
საინფორმაციო სააგენტო
ვაშლის ჯიში
საფრანგ. მდინარე
სარიშვილი
მინელის ფილმი
ჰარუნ-არ-რაშიდი
ურარტუს მეფე
გრძელი ძელი
ჟამთააღმრიცხველი
იაპონ. თაიგული
ადგილობრ. მცხოვრები
ხეოფსი
აჩრდილი
ფინური ეპოსი
ლოკომოტივი
დროის ღმერთი ინდურ მითოლ.
ბრტყელი ქვა
გერმან. სახელი
იტალიის ვულკანი
(....) კეისარი
გაკვირვება
კომპიუტერის ტელევიზორი
(......) დგებუაძე
სკანდ. მითოლ. ბუმბერაზი
მჭევრმეტყველი
ნევადის შტატის ქალაქი
დუშმანი
„...დედაა ერისა"
ტოკიოს თანამგზავრი ქალაქი
სქელი ქაღალდი
იტალიის საკურორტო ქალაქი
ეკატერინე
მარჯნის კუნძული
პირველი ასოები
ძვ.ინგლისური ფული
იაპონური მანქანა
შრომას მოსდევს
ბერძენი მულტიმილიონერი
სიღნაღის რ.სოფელი
„იმათი" ელისო
განუსაზღვრელობის ასო
სამარე
ემპირიოკრიტიციზმის „მამა"
აღმოსავლური სკოლა
ქალაქი საქართველოში
გამოუწვავი აგური
ოსეთი - ოსურად
„ბატონო!" - იაპონელთათვის
(.....)-უნგრეთის იმპერია
თბილისის რაიონი
ქართული ფილმი
ვირთან საკონტაქტო სიტყვა
წვენი მეზობელი
ფრანგული ავტომობილი
საფრანგ. ისტ. ოლქი
ჩარკვიანის პოემის გოგონა
მექსიკ. მცენარე
ტაბლეტი
ფართობის საზომი ერთეული
წვერის სალებავი
ჩრდილი (ძვ.)
„მეფეო!" - ფრანგებისთვის
აშშ-ს ქალაქი
ზაფხულის ხილი
არქორწინება
ტროპიკ. ხილი
ჩრდილოური ზღვის „ნათლია"
შემმოწმებელი ორგანო
საუნა
შიში და არეულობა
ბურთულების საგორავებელი...
მაღალი სახლის ნაწილი
(......) ტერნერი
ძველი ინგლისელი მეკარე
ქალაქი სლოვაკეთში
ალბერტო მორავიას რომანი
კედლის სანათი
დროებითი ფული
რუსთველის კალამი
„დეკამერონის" ავტორი
პოლიტიკოსი მურმანი
მაისის ქალი
პაუზა
ხვადის ანტიპოდი
დროის დიდი მონაკვეთი
სერბი მწერალი ბრანისლავ...
ცხოვრების „სტაჟი"
სერბი მწერალი (.....)ანდრიჩი
ნოტი
შვეიცარიის მდინარე
მეაურის ინვენტარი
ნოტი
შეჯახება
პაუზა
პაუზა

**ამავე ნომრის პასუხები**

**რეიტინგი**. *(მე-2 გვერდი)* 1. სიმენსი. 2. აჯიაშვილი. 3. კროკო. 4. ფუმაი. 5. გინზბურგი. 6. კრონინი. 7. სიმჯარა. 8. კურიერი. 9. ჭრაქი. 10. მარმელადი. 11. ბეტანკური. 12. კარამზინი. 13. ლიეპა. 14. ქსოვა. 15. აქსიომა. 16. ტურნე. 17. მხილება. 18. სეინერი. 19. გლეხი. 20. სპილბერგი. 21. კვინიხიძე. 22. ფლავი. 23. იდენი. 24. პურმარილი. 25. აბადი. 26. კვირიკაძე. 27. ბურბონები. 28. ხროვა. 29. ჭოპორტი. 30. მძორი. 31. აპოლონი. 32. მოემი. 33. ცხადაძე. 34. გრი პი. 35. აკურა. 36. ატრია. 37. კოტრიკაძე. 38. პროტოკოლი. 39. სტალერი. 40. ძინძინი.

**„ფანტაზიორის" მოყვარულებს ვაცნობებთ, რომ ამიერიდან ეს რუბრიკა დაიბეჭდა ყოველი თითო ნომრის გამოტოვებით**

თავდაპირველი ღირებულება
უსახლკარო
სამსახურეობრივი ადგილი

ქალაქი სენაზე
არტეკი
შურისძიების ქალღმერთი
უსიამოვნო
ესტონეთის კალათბ. გუნდი
ხაფანგი
იხარხარა ანუ?
სიძვის დიაცი

თავადის მეუღლე
არაბული ქვეყანა
ტაში

„სამი მეგობარი“ ავტორი
მატყუარა
ყვავილი
თევზი

ლენონის მეუღლე

ზედაპირული
არხიც, ქუდიც
ებრაელთა მღვდელი
საბუღალტრო ცნება

სახის ნაწილი
ჩვენი ფული
მთათა სისტემა
სამშენებლო მასალა
ციტრუსი
ვორობიანინოვი

ინდოელთა ღვთაება
რამინის სატრფო
უცოლობა
სირიის ისტ.ოლქი
იშვიათი ნივთი
საფრანგ. ქალაქი

ინგლისელი ფიზიკოსი
(...) გოლდბერგი
უზბეკი ბატონი

მდინარე ციმბირში
სწრაფი მოძრაობა
პარიზის უნივერსიტეტი
საბავშვო კომპიუტერი
დაავადება
„ლასკალა“ თავისი არსით

ხელმისაწვდომი
ინდოეთის დიდი შვილი
კოლუმბის გემი
კურორტი იტალიაში

ქალაქი ბულგარეთში
ქვეყანა ოკეანეთში
მსროლელი
თხის ხმა

ეთიოპია
ნელი სიარული
სიცოცხლეს შეისწავლის
ნესტი

შინაური ფრინველი
(...) მატიე
ესპანელი ფეხბურთელი
ბილიარდის ჯოხი
ეტლი

მდინარე ციმბირში
ბოსტნეული
მუსლიმანური დღესასწაული

რამზესი
ებრაელთა სალოცავი
ღოღობერიძე
რუსი მომღერალი
ქვეყანა აზიაში

ინის კოლეგა
თამაში
ჩვენი ტბა
ზოგჯერ ბალის წინაა

როგორი ხვრელია ატმოსფეროში?
ისტორ. ოლქი ამიერკავკასიაში

ამერიკ. ცხოველი
სინემა, ფილმი
(...) ალექსანდრია
ნაცვალსახელი
ქვეყანა აფრიკაში
10 მინუს მეცხრე ხარისხის წინსართი

კავკასიელი
თმის შესაკრავი
ქალბატონი კვერენჩხილაძე
თბილისის უბანი
უდანაშაულობის საბუთი
გერმანიის მიწა
პოლონელი რეჟისორი

ელექტრო საქონლის ფირმა
ძვ.ბრაზილიელი ფეხბურთელი
არანორმალური
ყარაჩი
ვატიკანშია

დეზერტირის
ცხენის ინვენტარი

ინდიელთა ტომი
ძვ.იტალ. ფეხბურთელი

უძველესი ქვეყანა აზიაში
სურვილი
ბოსტნეული
მას ვერაფერი შეაჩერებს
(......) დე ლუსია
გესლიანი

№43
სამხრეთ ამერიკული ცხოველი
გრძელთმიანი
ყვავილი
ესპანეთ. ისტ. რეგიონი

საქიდაო ხალიჩა
კლინტონის ცოლი / ნაწილი
ქალაქი საფრანგ. / მისამღერი
ხომალდი / მამლის პრეროგატივა
გამონაზარდი ყელზე / მრგვალი
ჩვენი თეატრის ლეგენდა / სტიმული
საფარი
რუსული მანქანა / სიდნეი 2000
პატარა მარიამი
გასართობი ყუთი / ნნეხი
ტრანსპორტის სახეობა
წყნარი, ატლანტის, ინდოეთის
არჩილის და
მიხოს ცოლი
დუმბაძის პერსონაჟი
სიცივე / შეუღლება
ქართველი პრომეთე
ჯარი / სამუზეუმო ნივთი
სოფელი საგურამოსთან
თავადის ქალი
მოუხარშავი
მდინარე რუსეთში / (...) ვენტურა
(...) კლოდელი / რეპატრიაცია
ფირნიში / ტბა უნგრეთში
ლერმონტოვის პოემა
ჩახურებული ფქვილი
გიორგი I-ის მამა
მაუგლის მეგობარი
დროებითი სადგომი
მუსლიმ. ზეიმი / პოლონ. სახელი
ვულკანი მექსიკაში
საზიდარი / სამანიშვილი
ადგილობრივი / ფეთქება
ძრავის მოძრავი ნაწილი
ფალიაშვილის სახელობისაა
ტოლიატის მანქანის მარკა
არაბული გვარის ნაწილი
სომეხი რევოლუციონერი / ჩიჩერონე
იტალიის ფული / ყურის ანთება
წინამძღოლი, წამყვანი
დაკოდილი ხარი
მუს. ინსტრუმენტი / ოხერი
არჩევას ითხოვს / ბატონო პოლონ.
რაიმეს ვალად აღება
სკანდინავიური თქმულება / ბრუნვა
ჯადოსნური სიტყვა
ფინელი არქიტექტორი
ხარის სახელი / შორისდებული
ლატვიის ქალაქი
ზანგი ტოპმოდელი
იტალიის კურორტი
მეოთხე პლანეტა
თანხმობა
ბურთი ბადეში
ნაგვის ასაღები
(...) მირცხულავა
ლათინური უარყოფის ნაწილაკი
ძველი სომხეთის ქალაქი
ნაბოკოვის რომანი
უფლის სასმისი / ჩრდილი
ადვილი / დაიზიანა / გადასახადი
ქალაქი იტალიაში
დიდი ჩაქუჩი
ბატონო იაპონურად
პალმოლ. ზეთი / სტატუს-(.....)
ნესტი / არჩვაძე-გამსახურდია
მდინარე რუსეთში
რუსული ესტრადის ვარსკვლავი
ტიბეტური ხარი / სკოლაშია
კითხვა რომელიც ადამიანს დაესმის
ბრაზილიელი მწერალი
ქალაქი პაკისტანში / (...) პუსი
მითიური თავლების პატრონი
სატელეფონო სიტყვა
„ფანტაზიის" რუბრიკა
არაბი მმართველი
არომატი

## იაპონური ნახატი მათთვის, ვისაც საბჭოთა ფეხბურთი ენატრება




## გასული ნომრის ნახატები











## გინესების რეკორდების წიგნი

### ჩანჩქერები

**ყველაზე მაღალი ჩანჩქერი**
**ანხელი**

მსოფლიოში ყველაზე მაღალი ჩანჩქერია ანხელი, რომელიც ვენესუელაში მდებარეობს მდინარე კარაოს ერთ-ერთ განშტოებაზე, ზედა დინების შენაკად მდინარე კარონიზე და საერთო სიმაღლით 979 მეტრია. ამ ჩანჩქერის თავისუფალი ვარდნის უმაღლესი წერტილი კი 807 მეტრზე მდებარეობს.

**ყველაზე მძლავრი ჩანჩქერი**
**ბოიომა**

წყლის ხარჯის მიხედვით (17000 მ$^3$/წმ) მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია ჩანჩქერ ბოიომას, რომელიც ზაირში მდებარეობს.

**ყველაზე მძლავრი ჩაძირული ჩანჩქერი**
**გუაირა**

წყლის ხარჯი ჩანჩქერ გუაირაში (სეტე-კედასი), რომელიც მდინარე პარანაზე მდებარეობს ბრაზილიასა და პარაგვაის შორის წარსულში 50000 მ$^3$/წმ-ს აღწევდა, თუმცა იტაიპუს პლატინის აშენების შემდეგ 1982 წელს ჩანჩქერი გაქრა.

**ყველაზე განიერი ჩანჩქერი**
**კონი**

მსოფლიოში ყველაზე განიერი ჩანჩქერია კონი, რომელიც ლაოსში მდებარეობს. მისი სიგანე 10,8 კილომეტრია და წყალდიდობის დროს აქვს 42500 მ$^3$/წმ ხარჯი.

**შეგვიძლია ჩვენი გაზეთის ძველი ნომრები გადმოგცეთ საჩუქრად... უფასოდ! დაგვიკავშირდით საღამოს საათებში**

## ეგრე რა, თქვე დალოცვილებო!

მოგეხსენებათ, ჩვენი დამოკიდებულება ქართულ ენაში დღეს მიმდინარე პროცესებისადმი საკმაოდ კრიტიკულია და არაერთხელ გამოგვითქვამს მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა, როგორც ჩანს, თავად ენაც იბრძვის საკუთარი სიწმინდისათვის და დღეს ამაში ერთხელაც დავრწმუნდით, რამაც ძალზედ გაგვახარა:

ყველამ იცის, რომ სიტყვა „დახურდავება" ფულის გადაცვლასთანაა დაკავშირებული და დიდი ფულადი ნიშნის პატარებად დანაწევრებას გულისხმობს. ეს სიტყვა წარმოდგება სპარსული „ხურდ"-იდან, რაც სწორედ რომ „პატარას" ნიშნავს... ერთი სიტყვით, საუკუნეების მანძილზე ჩვენს ენაში არსებული „სარეველა" დღეს ერთმა ქალბატონმა (ბაზრობაზე!) ისე კარგად ამოძირკვა, რომ სიხარულისაგან გული ვარდივით გადაგვეშალა (...თუმცა-კი „ვარდიც" სპარსულია!...) იმ ნამდვილად მშვენიერმა ქალბატონმა გამყიდველს 20-ლარიანი მიაწოდა და უთხრა - „დამიშალეო", რაც არავითარ შემთხვევაში არ არის არც რუსული „Разменять"-ის და არც ინგლისური „Exchange"-ის გადმოკეთება...

...ეს უბრალოდ ენის ბრძოლაა საზიზღარი სარეველების წინააღმდეგ!

# მის მსოფლიო - MISS WORLD

**1994** წელი



**აიშვარია რაი** - ინდოეთი. 2. ბასეტსანა ჯულია მაკგალამელი - სამხრ. აფრიკა. 3. ირენ ესტერ იზგუიერდო - ვენესუელა. 4. ანჯელინა მუსასისა - ზიმბაბვე. 5. ბრანკა ბებიჩი - ხორვატია.

**1995** წელი



**ჟაკლინ მარია აგილერა ვალკანო** - ვენესუელა. 2. ანიკა მარტინოვიჩი - ხორვატია. 3. მიშელ კანი - ტრინიდადი და ტობაგო. 4. მირი ბოჰადანა - ისრაელი. 5. იონ იონ ჩო -კორეა.

**1996** წელი



**ირენა სკლივა** - საბერძნეთი. 2. კაროლინა არანგო კორალესი - კოლუმბია. 3. ანუშკა პრადო - ბრაზილია. 4. ანა კეპინსკა მიზაკი - ვენესუელა. 5. რანი ჯოარ ჯეირაი - ინდოეთი.

**1997** წელი



**დიანა ჰაიდენი** - ინდოეთი. 2. ლაურელა მარტინოვიჩი - ახალი ზელანდია. 3. ჯესიკა მოტონგი - სამხრ. აფრიკა. 4. ტანია სესუნტისოკი - ტაილანდი. 5. კაილა შიკელი - თურქეთი.



# ტომ კრუზი

## მსოფლიო კინოს 50 ლეგენდა

გამოშვება №1

**Tom Cruise**

**დაიბადა 1962 წლის 3 ივლისს ქალაქ სირაკუზში, ნიუ-იორკის მახლობლად**

ტომ კრუზ მაპოტა თავისი ოჯახის მესამე შვილი გახლდათ, თუმცა ერთადერთი ვაჟი იყო და ამიტომაც სამ დასთან მიმართებაში გარკვეული უპირატესობით სარგებლობდა. ჩვენთვის უცნობია ამ უკანასკნელთა (ტომის დების) ღღევანდელი ბედი, მაგრამ ტომი რომ დედის კვალს გაჰყვა, ეს ცხადია. დიახ, დედამისი მსახიობი გახლდათ, თუმცა, რა თქმა უნდა ისეთ სიმაღლეებზე ამ ქალს ოცნებაც კი არ შეეძლო, რასაც მისმა საყვარელმა ვაჟიშვილმა მიაღწია. მამა კი ჩვეულებრივი ინჟინერი იყო და სწორედ მისი არეული და მოუწყობელი ცხოვრების ბრალი იყო, რომ ოჯახს გამუდმებით უხდებოდა საცხოვრებელი ქალაქებისა და ადგილების ცვლა და ცვლა.

ტომი ჭკვიანი ბიჭუნა იყო, თუმცა ბავშვობიდანვე ერთი კომპლექსი ჰქონდა შეჩენილი, რაც მის შედარებით მომცრო სიმაღლესთან იყო დაკავშირებული (ალბათ, ამიტომ შეირთო საროსავით წერწეტა ნიკოლ კიდმანი?!). ამ კომპლექსის გამოისობით იგი სულ ასაკით პატარა ბავშვებთან მეგობრობდა, რათა მისი სიმაღლე აგრერიგად თვალში საცემი არ ყოფილიყო და გამუდმებით და გულმოდგინედ ვარჯიშობდა, მისდევდა სპორტის თითქმის ყველა სახეობას, რათა როგორმე თითოოროლა სანტიმეტრი შეემატებინა თავისი სხეულისათვის.

სწავლას კი მაინცდამაინც არ სწყალობდა და ეს უმთავრესად იმით იყო განპირობებული, რომ მასაც დედასავით დისლექსია სჭირდა (ეს არის იშვიათი ავადმყოფობა, რაც ასოებისა და ტექსტების პრობლემატურ აღქმასთანაა დაკავშირებული, ამას ისიც ემატებოდა, რომ ტომი ცაცია იყო და მასწავლებლები მარჯვენა ხელით წერას აიძულებდნენ). აღნიშნული ავადმყოფობისა გამო ტომი სპეციალურ კლასშიაც კი გადაიყვანეს, მაგრამ მან მაინც შეძლო პრობლემები დაეძლია და კვლავ დაბრუნდა ნორმალურ ბავშვთა შორის.

ტომი 12 წლის რომ იყო, მისმა მამამ ოჯახი მიატოვა და ის თავის დებთან ერთად მთლად უსახსრო და უბადრუკი შეიქნა. ამიტოიმაც ოთხივე შვილი სკოლის დამთავრების შემდეგ რაღაც-რაღაც სამუშაოებს ასრულებდნენ, რომ როგორმე დახმარებოდნენ დედას.

ზემოაღნიშნული სასწავლო პრობლემების შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში, ტომი რაღაც სასულიერო სემინარიიის მსგავს სასწავლებელში დაიარებოდა (ხომ წარმოგიდგენიათ მღვდლის ანაფორაში გამოწყობილი ტომ კრუზი?), მაგრამ მალე გაირკვა, რომ განგებას ეს საქმე მისთვის არ შეექმნა და კვლავ ჩვეულებრივ სკოლაში დაბრუნდა. ამ „დაბრუნებამ“ უკვალოდ არ ჩაიარა და სულ მალე ტომი სკოლის თეატრალურ სტუდიაში მოხვდა, იქ კი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა ორიოდ მეცადინეობის თვალყურის მიდევნება, რომ ყმაწვილი ტომ კრუზი დარწმუნებულიყო - „მსახიობობა ჩემი მოწოდებააო“.

ეს დაახლოებით 1980 წელს მოხდა და სწორედ ამ დროს ტომ კრუზი სამუშაოს საძებნელად ნიუ-იორკში ჩავიდა. სწორეს აქ მოხდა მის მოგრძო გვარის თანამედროვე ვარიანტამდე შეკვეცა („მაპოტა“ მოიშორა) და აქვე მიიღო თავის პირველი როლი ფილმში „დაუსრულებელი სიყვარული“ (**Endless Love**).

ასე დაიწყო ტომ კრუზის სამსახიობო კარიერა და რეჟისორები დარწმუნდნენ, რომ მათს სამოღვაწეო არეალში მეტად ნიჭიერი და პერსპექტიული ჭაბუკი გამოჩნდა. პირველი წარმატებაც მალე მივიდა მასთან, ეს მოხდა 1982 წელს, როცა იგი გადაიღეს ფილმში „სარისკო ბიზნესი“ (**Risky Business**), რასაც მოჰყვა ფილმი „საუკეთესო მსროლელი“ (**Top Gun**),რამაც კიდევ უფრო განამტკიცა ტომ კრუზის სამსახიობო რეპუტაცია: ეს ფილმი კიდევ იმით აღმოჩნდა საინტერესო, რომ მაშინ ახლადფეხადგმული მრავალი კომპიუტერული თამაშის სიუჟეტური საფუძველი გახდა.

ამასობაში 1988 წელიც დადგა და სწორედ ამ წელს დაფიქსირდა ტომ კრუზის კარიერის მორიგი ფურცელი, რასაც სათაურად უკვე პერსპექტიული მსახიობი კი არა, პროფესიონალი არტისტი ერქვა და ეს განაპირობა ისეთ საქვეყნოდ ცნობილ ფილმში წარმატებულმა თამაშმა, რასაც ჩვენებურად „წვიმის კაცი“ (**Rain Man**) ეწოდება. მართალია, მაშინ კრიტიკოსები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ამ ფილმის წარმატება უფრო მეტად დასტინ ჰოფმანის ბრწყინვალე თამაშით იყო განპირობებული, მაგრამ დღეს უკვე სხვა აზრია შექმნილი და არც ტომ კრუზის შესანიშნავ ოსტატობას უვლიან გვერდს. სწორედ ამ ფილმში შეძლო ტომმა იმ უნარის გამოვლენა, რასაც უმაღლესი სამსახიობო ოსტატობა ჰქვია და რაც პერსონაჟის შინაგანი ბუნებისა და მთელი ფილმის მანძილზე ხასიათის ტრანსფორმაციასთანაა დაკავშირებული.

1989 წელს გადაღებულ იქნა ფილმი „4 ივლისს დაბადებული“ (**Born on the Fourth of July**), სადაც ტომის თამაში უფრო შთამბეჭდავი გახდა; ამ ფილმში მან ვიეტნამის ომის ვეტერანის როლი განასახიერა, რისთვისაც იგი „ოსკარის“ პრემიაზედაც კი იქნა წარდგენილი, მაგრამ უშედეგოდ.

1990 წელს ფილმ „ჭექა-ქუხილის დღეების“ (**Days of Thunder**) გადაღებისას ტომმა თავის ახლანდელი მეუღლე, ნიკოლ კიდმანი გაიცნო; ადრინდელმა ცოლმა მიმი როჯერსმა კი ტომი იმის გამო მიატოვა, რომ მან ვერ შეძლო მამა გამხდარიყო, თუმცა კიდმანი ამ ფაქტმა არ შეაშინა (ისევე როგორც ჭორმა ტომის ჰომოსექსუალიზმის შესახებ) და იმავე წელს ისინი დაქორწინდნენ. მართალია. მათ საკუთარი შვილები დღემდე ვერ ეყოლათ, მაგრამ მათ იშვილეს ორი მშვენიერი ბავშვი - გოგონა იზაბელ ჯეინი და ბიჭი - კონორ ენტონი.

1996 წლს ტომმა თავისი ბავშვობის ოცნება აისრულა და ჯეიმს ბონდის მსგავსი პიროვნების როლი ითამაშა ფილმში „შეუსრულებელი დავალება“ (**Mission: Impossible**). ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა, რომ ეს ფილმი მასზე დახარჯულ უზარმაზარ თანხას (120 მილიონ) დოლარს აანაზღაურებდა, მაგრამ შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და ფილმი იმ სეზონის ნამდვილი კომერციული ჰიტი გახდა.

თუმცა მრავალრიცხოვანი მაყურებლისათვის ტომის საუკეთესო ფილმად მაინც „ჯერი მაგუაიერი“ ითვლება, სადაც კრუზმა თავისი სამსახიობო ოსტატობის ყველა მწვერვალი დალაშქრა. ფილმმა მარტო აშშ-ში 150 მილიონი დოლარი შეაგროვა და წარდგენილ იქნა „ოსკარის“ პრემიაზე მრავალ ნომინაციაში (მათ შორის, როგორც საუკეთესო ფილმი). ვერც ამჯერად მიიღო ტომმა „ოსკარის“ საოცნებო სტატუეტი, მაგრამ ნუგეშად ისიც კმაროდა, რომ მას „ოქროს გლობუსის“ პრემია მიანიჭეს, როგორც მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებელს.

„ჯერი მაგუაიერის“ შემდეგ დაიწყო გადაღებები დღეს სკანდალურად ცნობილი „ფართოდ დახუჭული თვალებისა“ (**Eyes Wide Shut, 1999**), რაც ორ წელიწადს გაგრძელდა და რის გამოც მან ვერ შეძლო „შეუსრულებელი დავალების“ (რეჟისორი ჯონ ვუ) მეორე ნაწილში გადაღების გაგრძელება. თუმცა ეს უკანასკნელი, რომლის გადაღებებიც მკაცრად საიდუმლო პირობებში მიდიოდა, მაინც გამოვიდა ეკრანებზე 2000 წლის დასაწყისში და ისიც გახდა სეზონის ნამდვილი კომერციული ჰიტი, რაც პირველ რიგში სწორედ რომ ტომ კრუზის შესანიშნავი ოსტატობის წყალობით არის განპირობებული.

ტომ კრუზი ახლა დიდების ზენიტშია და მას დიდი კარიერა ელის წინ, რომლის მორიგ ფურცელს სათაურად ალბათ ის ყველაზე საუკეთესო ტიტული ექნება, რაც მსოფლიო კინოში მხოლოდ ერთეულთა ხვედრი ხდება ხოლმე.

**ინტერნეტის პრესის მიხედვით**
**მოამზადა ალ.ელერდაშვილმა**



# რუსული იუმორისტული კროსვორდი



ПО ГОРИЗОНТАЛИ: 5. *Анекдот*: “На конгресс коминтерна не приехал делегат из Африки. Из ЦК телеграфируют в Одессу: “Срочно требуется негр”. Ответ из Одессы: “(....) выкрашен. Сохнет”. (Фамилия). 6. Когда Бог бросает “яйца” из неба. 8. Самая популярная ныне комнатная собачка. 10. В Италии - Серия А, В Англии - Премьер Лига, В Испании - (....) Дивизио 12. Крыловский музыкальный коллектив. 13. Всякий паук и подобное и по-научному. 14. Что обьеденяло Сталина и Гитлера? 16. Верзила, наняты для “погрома” чего-то. 18. Что есть в Курске необычного, с точки зрени географии и физики? 20. Город богемских “остряков”. 21. Что над “посеять”, чтобы пожнать бурю? 22. Каждый из родителей на жаргон детей. 24. *Анекдот с бородой:* “Пассажир говорит капитану: “Останов (....), пешком пойду”. (Транспортное средство). 25. Статус Семен Семеныча во время круйза. 28. Самый высокогабаратный в мире певец с “русской” фамилией. 30. Первая в мире жертва “авиакатастрофы”. 31. Перед “Пшавелой”. 32. Слово, обьеденяющее фотоисскуство и тюрьму. 35. Полная неразбериха. 37. Маша, не имеющая ничего общего с Григорием. 40. (.......) Апина. 41. В него можно впасть не только в “транспорте”. 42. Так сказать, войн одноразового применения.

ПО ВЕРТИКАЛИ: 1. *Анекдот:* “- Фира, сколько лет твоему мерзавцу? - Четырнадцать. - Да, (....) делать уже поздновато”. 2. Жадный до золота карлик в европейской мифологии. 3. “Коллектив” собак. 4. Любовное колдовство. 7. “Бизнесмен” с пиявками (лит.) 8. Гриб - “убийца мух”. 9. *Анекдот*: ”Три года провисело на стене у гражданина К. ружье и наконец выстрелило, но в тещу не попало. Теща отделалась ударом (....) в спину”. (Часть ружья). 10. Самая жара. 11. “Гувернантка” Пушкина. 15. “Имя” главного большевика кавказа. 17. Так сказать, Петербург Назарбаева. 18. Корабль, произведший самый роковой выстрел в истории. 19. Может быть и каменным (в сказке). 23. Наркоманское курево и стая рыб. 26. Край Грузии, в котором находится город, строящий когда-то индустрию 27. “Шапка Мономаха” Папы. 28. Столица Марокко. 29. Что это такое - греки стоят в кругу, положив друг другу руки на плечи? 33. “Сахарный” поселок в Грузии. 34. Грузинская песня, в которой ищут возлюбленную. 36. Грузинский “Робин Гуд” (Имя). 38. Не изменяется от перемены слагаемых. 39. Египетская богиня, жившая в “кровосмесительном” браке со своим братом.

**შეადგინა გიორგი ვეკუა**

### მარტივი ფრაზები ინგლისური ენის შემსწავლელთათვის

**- It isn’t what they say about you, it’s what they whisper.**

Errol Flynn

**- The most incomprehensible thing about the world is that it is comprehensible.**

Albert Einstein

**- One of the lessons of history is that nothing is often a good thing to do and always a clever thing to say.**

Will Durant

**370**. ორი მანქანა შეეჯახა ერთმანეთს. ერთი ავტომობილის მძღოლი გამწარებული მირბის მეორესთან:

- შეხედეთ... შეხედეთ... რა მიქენით?!... თქვენ მე კბილის პროთეზი გამიტეხეთ.

- დამშვიდდით! - ეუბნება მეორე - აი, ამ ყუთში მოძებნეთ - და აწვდის კბილის პროთეზებით სავსე ყუთს. დაზარალებული მძღოლი დიდხანს იქექება ყუთში და, როგორც იქნა, თავის ზომას ნახულობს...

- ხედავთ, როგორ გამიმართლა, კიდევ კარგი კბილის პროთეზისტს შევეჯახე...

- პროთეზისტს?! არა, ბატონო, მე მესაფლავე ვარ...

**371. - Я хотела бы иметь мужа.**

**- Я тоже, но еще не знаю, чьего.**

**372**. ჩუქჩა ირმებზე ნადირობს, უცებ ფეხი დაუცურდა, ყინულზე თავი დაარტყა და გონება დაკარგა... ცოტა ხნის შემდეგ გონს მოვიდა და ფიქრობს:

- კიდევ კარგი ტვინი არა მაქვს, თორემ ხომ შერყევას მივიღებდი?!




**373. Сталин посещает Владимира Ильича.**

**- Я, батенька, чувствую себя архискверно, скоро помру.**

**- Тогда отдайте Мне власть.**

**- Боюсь,что народ не пойдет за вами.**

**- Часть народа пойдет за мной, а те кто не пойдет,- пойдут за вами.**

**374. *ЗАЯВЛЕНИЕ.***

**Прошу расстрелять меня по собственному желанию.**

**Рабинович**

**375. Грузин приехал из Москвы и рассказывает: ”Положили нашего дорого Сосо в мавзолей. Лежит. Смотрю, не один лежит. Подхожу, рассматриваю, не могу понять, кто рядом лежит. Всматриваюсь: так это же его орден Ленина в натуральную величину!”**

# თითქმის ყველაფერი ლუდზე

***(მესამე ნაწილი)***

ლონდონის ერთი დიდი ლუდხანა თავის მუდმივ კლიენტურაში ყოველწლიურად ატარებს ლუდის ყველაზე დიდი მოყვარულის არჩევნებს. ასე მაგალითად 1991 წელს ეს ტიტული მიეკუთვნა ჰარიეტ ბრუქსს ქალაქ ბირმინჰემიდან. ამ ქალბატონმა განაცხადა, რომ 18 წლის ასაკიდან ყოველდღე ერთ ლიტრ ლუდს მაინც სვამს. ჰარიეტ ბრუქსი საუკუნის თანატოლია, ასე რომ ძნელი არ აღმოჩნდა იმის გამოთვლა, რომ მან 73 წლის განმავლობაში 70 ტონა ლუდი მიირთვა.

☒ ☒ ☒

მიუნჰენის ერთ-ერთ ლუდხანაში ლუდი უცნაურ კათხებში ისხმება; ასეთ კათხას როგორც კი აიღებ მაგიდიდან, გაისმება ბავარიული ხალხური მუსიკა. ამგვარ კერამიკულ კათხებს ჩეხეთშიაც ამზადებენ.

☒ ☒ ☒

იაპონიის ქალაქი მაცუშიროს ერთ-ერთ ლუდხანაში გამოკრულია განცხადება - „თუ მიწისძვრის სიმძლავრე აღემატება 3 ბალს (იაპონიის შკალით), კლიენტი ლუდს უფასოდ მიიღებს“.

☒ ☒ ☒

გადამეტებული სმისა და ჯდომის მოყვარულთა ეფექტური გაძევების ხერხი მოიგონა გერმანიაში პატარა რესტორნის მფლობელმა ლიბეკმა. ზუსტად 22 საათზე ავტომატურად ირთვება სპეციალური მოწყობილობა, საიდანაც მაგიდებზე ისეთი ძლიერი წვიმა იღვრება, რომ ლუდის თვით ყველაზე ძლიერ მოყვარულსაც კი აღარ შეუძლია ერთი წუთითაც გაჩერება.

☒ ☒ ☒

ლუდხანა „თეთრი ჯვრის“ მფლობელმა ბავარიის ქალაქ პასაუში, რომელიც ავსტრიის საზღვართან მდებარეობს, თავის დაწესებულებაში ორიგინალური წესი შემოიღო: არავითარი საფეხბურთო გადაცემების ყურება და არავითარი საუბრები ფეხბურთზე... და ეს მათთვისაა განკუთვნილი, ვისაც არ უყვარს ფეხბურთი და თამაშების დღეს სურვილი აქვს უბრალოდ დაისვენოს.

☒ ☒ ☒

ფილადელფიის მუსიკალური სკოლის მასწავლებელმა პ. ჩეიჩერმა შექმნა „ლუდის სიმფონია“, სადაც ისმის ყველა ის ხმა, რასაც კუდი გამოსცემს სხვადასხვა სახის ჭურჭელში დასხმისას, როგორიცაა კერამიკული, მინის თუ რკინის ჭურჭელი... ავტორის თქმით ეს ნაწარმოები ლუდის ყოველ მოყვარულს სასმელისაკენ მოუხმობს, მუსიკათმცოდნეები კი აღნიშნავენ, რომ ჩეიჩერი ბევრად უფრო კარგად ერკვევა ლუდში, ვიდრე მუსიკაში.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

43(198)

16. **იუტა (Utah)** - მდებარეობს აშშ-ს დასავლეთ, მთაგორიან ნაწილში, ნევადასა და კოლორადოს შორის.

ფართობი - 219,889 კვ.კმ. მოსახლეობა - 1 722 850 ათასი.

ადმ. ცენტრი - სოლტ-ლეიკ-სიტი (Salt Lake City) მოსახლ. - 160 000 კაცი.

იუტას სხვაგვარად „ფუტკრების შტატსაც" უწოდებენ მისი მოსახლეობის მეტისმეტი შრომისმოყვარეობისა გამო.







1848 წელს ეს ტერიტორია მექსიკამ დათმო აშშ-ს სასარგებლოდ და მორმონთა სექტის წევრების მიერ იქნა დასახლებული.

**1896 წლის 4 იანვარს გახდა აშშ-ს 45-ე შტატი**.

იუტა 29 ოლქადაა დაყოფილი.

სახელი წარმოდგება ადგილობრივ ინდიელთა სიტყვისაგან და ნიშნავს *მთიელებს*.

17. **კალიფორნია (California)** - მდებარეობს აშშ-ს წყნარი ოკეანის სანაპიროზე, ესაზღვრება მექსიკას.

ფართობი - 411,049 კვ.კმ. მოსახლეობა - 29 760 000 ათასი.

ადმ. ცენტრი - საკრამენტო (Sacramento) მოსახლ. - 370 000 კაცი. უდიდესი ქალაქი - ლოს-ანჯელესი.




კალიფორნიას სხვაგვარად „ოქროს შტატსაც" უწოდებენ.




თანამედროვე კალიფორნიის ტერიტორია 1847 წელს მექსიკამ გადასცა აშშ-ს და მას შემდეგ, რაც აქ ოქროს საბადო აღმოაჩინეს, დაიწყო მოსახლეობის მაქსიმალური მიგრაცია.

**1850 წლის 9 სექტემბერს აშშ-ს 31-ე შტატად გამოცხადდა.**

კალიფორნია 58 ოლქადაა დაყოფილი.

სახელი წარმოდგება 1510 წელს ესპანურ ენაზე გამოცემული რომანისაგან, სადაც სამოთხის წარმოსახვითი მხარე კალიფორნიაა აღწერილი და სწორედ ეს სახელი უწოდეს აქაურობას 1542 წელს ესპანელი ხუან როდრიგეს კაბრილიოს ექსპედიციის წევრებმა.

18. **კანზასი (Kansas)** - მდებარეობს აშშ-ს შუა დასავლეთ ნაწილში, მდინარე მისურისა და კლდოვან მთებს შორის.

ფართობი - 213,098 კვ.კმ. მოსახლეობა - 2 477 600 ათასი.

ადმ. ცენტრი - ტოპიკა, მოსახლ. - 120 000 კაცი. უდიდესი ქალაქი - უიჩიტა.







კანზასს სხვაგვარად „მზესუმზირების შტატს" და „პარტიზანების შტატსაც" უწოდებენ. 1763 წლიდან ეს ტერიტორია ფრანგებს ეკუთვნოდათ, შემდეგ გადაეცათ ესპანელებს, 1800 წელს კვლავ ფრანგებმა დაიბრუნეს, 1803 წლიდან კი აშშ-ს შემადგენლობაშია.

**1861 წლის 29 იანვარს აშშ-ს 34-ე შტატად გამოცხადდა.**

კანზასი 105 ოლქადაა დაყოფილი.

სახელი ეწოდა მდინარე კანზასის მიხედვით, რომლის სახელი თავის მხრივ წარმოიშვა ადგილობრივ მოსახლე Kansa-თაგან, რაც თარგმანში „სამხრეთის ქარის ხალხს" ნიშნავს.

# №42-ის პასუხები

**(პირველი გვ.)** *თარაზულად*: 1. წაღვერი. 7. სამადლობელო. 10. შოვი. 11. ელისე. 12. ქეთო. 13. ნონა. 14. ალუდა. 15. ალვა. 16. მიშა. 17. მაიკო. 19. დურუ. 20. ლილი გეგელია. 22. ოროველა. *შვეულად*: 1. გადარევა. 2. ძველბიჭური. 3. პრობლემა. 5. მარი ჯანაშია. 6. ალექსანდრია. 8. ბოლონია. 9. მთავარი. 17. მზიური. 18. ოცეული. 21. ეივე.

**(მესამე გვ.)** *თარაზულად*: 1. აჩმა. 8. ბაფთა. 10. ოსპი. 11. გამსახურდია. 14. მუყაო. 15. როუ. 16. დიორი. 19. აგრო. 20. ასთმა. 21. ერვე. 22. მტლე. 24. ბამბა. 25. სოია. 26. იხვი. 27. დელტა. 28. ლევი. 29. ალიტუსი. 30. გირშელი. *შვეულად*: 1. უჩა. 2. სათამადო. 3. აბასი. 4. ლავრა. 5. გოცირიძე. 6. უპე. 9. ფეხმორთხმული. 12. გულგატეხილი. 13. კრავეიშვილი. 17. ბარბადოსი. 18. მაკალათია. 23. ელიოტი. 25. სელეში.

**(მეოთხე გვ.)** *თარაზულად*: 1. გოროზი. 4. სვეტლიჩნაია. 9. ფანტასტიური. 17. მეტრანპაჟი. 18. მეტრონომი. 19. დისერტაცია. 22. სტრაბონი. 23. ბორიაყი. 24. სტუდებეკერი. 28. დიქტატორი. 29. ელექტრონი. 30. ინდევორი. 34. ლირიკა. 35. ჰიუნდაი. 36. პიტსბურგი. 37. ლიეპა. 42. კრინოლინი. 43. ლანოვოი. 44. ორმონდი. 45. პინა. 50. ქატო. 51. სტანიცა. 52. თანდილა. 53. ციცინათელა. 57. დაუნი. 58. კლარისა. 59. კრატერი. 60. რასტრი. 65. იდაყვი. 66. მონტანა. 67. გერნიკა. 68. დესაი. 73. ჯომოლუნგმა. 74. კუდრაჭა. 75. კომპენსაცია. 79. ათაბაგი. 80. სამგინი. 81. როზმარი. 82. ჯაკომო. 87. ეული. 88. ინდოეთი. 89. რეფორმა. 90. ატიკა. 91. დოჟი. 96. ოლბანი. 97. ეპოლეტი. 98. პოზნანი. 99. კარენინა. 103. კონაკრი. 104. კუპრინი. 105. თამარიონი. 110. ბალმონტი. 111. ნეირონი. 112. კუბრიკი. 113. ფროლო. 118. შეყვარებული. 119. ჟირარდო. 120. ნობელიანტი. 124. ალვა. 125. ალტაი. 126. გერმანი. 127. ბრეტანი. 128. კალო. 133. კალამი. 134. უცნაური. 135. ოტრანტო. 136. აბერდინი. 140. ბუგენვილი. 141. ციბრუტი. 142. შეილოკი. 147. ბელფასტი. 148. ანტინოე. 149. ონტარიო. 150. თესლი. 155. ლოტოტრონი. 156. შემოქმედება. 157. სერვანტი. 161. ბლერიო. 162. კონტროლიორი. 163. აზნაური. 164. ბელა. 165. უნია. 166. ინჰალაცია. 167. ნიკარაგუა. 168. ჭიდილი. *შვეულად*: 1. გამოსავალი. 2. როტორი. 3. ზაარბრიუკენი. 5. ვაჟა. 6. ივერია. 7. ნარიყალა. 8. იენა. 10. ტოინბი. 11. სტეჩკინი. 12. ინტერმედია. 13. რიცი. 14. სპინეტი. 15. ამატერასუ. 16. მალარია. 20. კოტრანა. 21. ადენაუერი. 25. სტრიქნინი. 26. აქტინოიდი. 27. კომპლიმენტი. 31. არარატი. 32. დანაე. 33. მგლოვიარე. 38. პლატონი. 39. კოლაფსი. 40. ოდოია. 41. პალადიუმი. 46. ექსჩეინჯი. 47. ოცელოტი. 48. ფლორენა. 49. გალათასარაი. 54. რაჭველები. 55. ორენბურგი. 56. სტოკჰოლმი. 61. ჯანმრთელობა. 62. გოიმი. 63. კენჭი. 64. ნეკნი. 69. ონეგინი. 70. ტრანშეა. 71. ოპერეტა. 72. მითოლოგია. 76. სანთელი. 77. მოთმენა. 78. ცოლიკაური. 83. მეგობრობა. 84. როსპერო. 85. კოლომნა. 86. ოკეანია. 92. ინგოროყვა. 93. უტყუარი. 94. ინდაური. 95. მეუნარგია. 100. პასტორალი. 101. ფრანციუმი. 102. მაიკროფტი. 106. ალბერვილი. 107. სეული. 108. ხუნდი. 109. პლანტაცია. 114. ობრაზცოვა. 115. მაგნიტური. 116. ჩერნობილი. 117. ზინოვიევი. 121. ვაჟკაცობა. 122. მეტრი. 123. სრუტე. 129. ამბულატორია. 130. შაბლონი. 131. კასტანედა. 132. არაკჩეევი. 137. ზელტერი. 138. ციტოლოგია. 139. მერია. 143. ალტობელი. 144. სიმენონი. 145. გამბუზია. 146. პლანშეტი. 151. ანკონა. 152. სმერჩი. 153. ზებრა. 154. მიხაკი. 158. აბრუ. 159. ეტნა. 160. ბათუ.

**(მეშვიდე გვ.)** *თარაზულად*: 1. ჯაშუში. 4. ათეიზმი. 7. სმოკინგი. 13. მაიონეზი. 14. მაკრატელი. 15. აზრი. 18. მაკლარენი. 19. ათლეტიზმი. 23. აიკი. 24. გარნიზონი. 25. მიკიტანი. 28. გურია. 29. სლალომი. 30. გადია. 35. ზონარი. 36. დასტა. 37. სახამებელი. 40. ნაბი. 41. ტაგანროგი. 42. ოტიტი. 46. ასისტენტი. 47. პრეისკურანტი. 50. კასტრატი. 51. კირკოროვი. 52. მიო. 56. ლომბარდია. 57. სპარტანელი. 60. ჰობოი. 61. მილიციელი. 62. ორბიტი. 66. გლადიატორი. 67. კრეტინი. 68. პირი. 71. როქი. 72. სტაჟირება. 73. ანატომი. 77. ამერიკა. 78. ოტი. 79. ბაირამი. 84. ბაქანი. 85. ლაპლანდია. 86. სქოლიო. 89. კაბრიოლეტი. 90. პერიოდი. 91. ანძა. 92. მისია. 93. გულია. 94. სილიკატი. *შვეულად*: 1. ჯამი. 2. შრილანკა. 3. შანელი. 5. ივან. 6. მარათონელი. 8. მალაიზია. 9. ნაზი. 10. ირიგაცია. 11. უზურპაცია. 12. ეტიენ. 16. ინინი. 17. ამბივალენტური. 20. ზარბაზანა. 21. იზოლატორი. 22. გალილეი. 26. ლუარა. 27. ემზარ. 31. ანაბასისი. 32. გარანტი. 33. ტარტაკოვერი. 34. სიცილია. 38. ვალენტობა. 39. აგარაკი. 43. ასირიოლოგია. 44. მიტროპოლიტი. 45. ანტისემიტიზმი. 48. სკოლა. 49. პიპინია. 53. არბიტრაჟი. 54. შაური. 55. ფინიკია. 58. მონარქომაქები. 59. ზიარება. 63. აგური. 64. სტატიკა. 65. ანანური. 69. ტროტილი. 70. სტომაქი. 74. ბრინდიზი. 75. ბაზილიო. 76. საბოტაჟი. 80. აბაკი. 81. კანტი. 82. ინტერი. 83. ალანია. 87. ალტი. 88. ადლი.

**(მერვე გვ.)** *თარაზულად*: 1. კოტენოჩკინი. 7. ფიდე. 10. ტალანტი. 11. ნოსტალგია. 12. იარვეტი. 13. იაროსლავი. 14. ანტირეკლამა. 17. ტინა. 19. ევიტა. 21. ესპანიოლა. 23. ნორმანდია. 25. იანგული. 26. რანდა. 24. შიდა. 28. მიკენე. 31. ბაზილიკა. 3. არავიძე. 35. ამერიკელი. 38. ტირანია. 40. გნუ. 41. ჰაიდარაბადი. 42. ადიღე. 43. ბრიზი. 44. ითონი. *შვეულად*: 1. კეტლინ ტერნერი. 2. ტოლერანტი. 3. ნანსენი. 4. ჩხირი. 5. იანკი. 6. ინსტრუმენტი. 7. ფრანსი. 8. დუგლასი. 9. საბირაბადი. 15. ელერდაშვილები. 16. ლაპლანდია. 18. ბოინგი. 20. ამანათი. 22. ასურეთი. 24. რენტაბელური. 29. ელევატორი. 30. პანტიანი. 33. აფრიანი. 34. ქარგვა. 36. იაჰვე. 37. ილაჯი. 39. ნეირო.

| | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | | | | | | | დ | ა | რ | დ | ი | მ | ა | ნ | დ | ი |
| | | | | | | | | ე | | ი | | უ | ი | ლ | ი | ა | მ |
| | | | | | | | | მ | ი | შ | ე | ლ | | ი | ჩ | ნ | ი |
| | | | | | | | | ო | კ | ა | კ | | | ე | ბ | ი | კ |
| | | | | | | | | კ | ა | რ | ა | მ | ე | ლ | ი | | ა |
| | | | | | | | | ე | ლ | ი | ს | ე | | | ს | | |
| | | | | | | | | ა | | | | რ | ო | ს | ი | ნ | ი |
| | | | | | | | | ტ | ო | ნ | უ | ს | ი | | | ი | |
| | | | | | | | | ი | | ე | | ი | მ | ა | დ | ა | ს |
| | | | | | | | | ა | ვ | ო | დ | ე | ი | | | ხ | |
| ნ | ა | პ | ი | ტ | ო | კ | ი | | ა | ლ | ა | | ა | კ | რ | უ | კ |
| | ზ | ა | ნ | ა | | ა | | ა | ნ | ი | ბ | | კ | ა | ი | რ | ო |
| ო | ბ | მ | ე | რ | | რ | ე | ს | | თ | უ | | ო | რ | კ | ი | მ |
| კ | | ე | ს | ო | რ | ბ | | ი | ლ | ი | ა | მ | ნ | ა | | | უ |
| ი | გ | ლ | უ | | | ი | რ | ა | უ | | | | ი | მ | დ | ა | ნ |
| ნ | ო | ა | | ა | ნ | დ | ე | რ | ს | ო | ნ | ი | | ა | ვ | კ | ა |
| | მ | | ი | ლ | უ | ი | გ | | | ს | ი | ლ | ე | ზ | ი | ა | |
| | ბ | ე | ლ | გ | ა | | ი | ს | ო | რ | ო | ს | | ო | ა | ლ | ა |
| | ი | | ს | ი | რ | ა | ნ | ო | | ი | რ | ე | ი | ვ | | ა | |
| მ | ო | რ | ი | გ | ე | | ა | რ | ე | ტ | ი | ლ | | ი | ძ | ს | ი |





სახე - პამელა ანდერსონი

თვალები - მიშელ მერსიე

## მეათე გვერდი

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | კ | | ყ | | ლ | ა | გ | უ | ნ | ა | | ს | ა | ხ | ე |
| ტ | ო | მ | ა | ტ | ი | | ე | | ა | ზ | ნ | ი | ლ | | მ |
| | ი | | რ | ა | მ | ა | ზ | ა | ნ | ი | | ა | პ | ა | კ |
| ი | ნ | ო | ა | რ | ა | ფ | | | ს | ა | ა | თ | ი | | ა |
| | დ | ე | მ | ო | ნ | ი | | გ | უ | რ | მ | ა | ნ | ი | |
| მ | ა | დ | ა | | ი | შ | ნ | ა | კ | ა | ს | | ი | | ძ |
| ა | რ | ი | ნ | ა | | ა | ი | რ | ი | | ა | ფ | ს | კ | ი |
| კ | ი | ვ | ი | ლ | ი | | ო | ჯ | | ა | ბ | ე | ტ | ა | მ |
| ა | | | | ი | ლ | უ | ბ | ა | ვ | ძ | | ლ | ი | ფ | ი |
| რ | ო | მ | ბ | ო | ი | დ | ი | | ა | ი | ლ | ე | | კ | |
| ე | | ა | ი | ნ | ა | რ | უ | | ი | ლ | ე | ტ | ს | ა | კ |
| ნ | ა | რ | დ | ი | | ო | მ | ი | | ე | ნ | ო | მ | | ა |
| ა | რ | გ | ო | | უ | მ | ი | | ი | ვ | ა | ნ | ა | კ | ს |
| | კ | ა | ნ | ო | ე | | | ძ | | ს | | ი | კ | ი | ტ |
| დ | ა | ლ | ი | | ლ | ი | ტ | ა | ნ | ი | ა | | ი | ნ | ა |
| უ | | ი | | ა | ს | კ | ე | რ | ი | | | ფ | | ტ | |
| ტ | ა | ტ | ო | | ი | ლ | ი | ვ | შ | ი | ხ | ა | ვ | ა | ჯ |
| უ | ბ | ი | ს | ი | | ა | ლ | ა | ი | ფ | | ი | ლ | უ | ა |
| | ა | | პ | ლ | უ | ტ | ო | | | ი | დ | ნ | ა | რ | გ |
| ი | დ | ნ | ი | ა | რ | | რ | ი | ზ | ე | | ა | დ | ი | ა |
| რ | | ა | | კ | ო | მ | ი | ს | ა | რ | ი | | ი | | რ |
| ი | მ | ი | ე | ს | | ზ | | რ | ა | დ | ო | ნ | | გ | ი |
| ს | | ბ | | ა | ს | ი | რ | ა | ლ | | ტ | ი | რ | ე | |
| ი | კ | ი | ა | პ | | ა | | | ი | ნ | ა | შ | ე | ა | კ |

## მეთერთმეტე გვერდი

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კ | ა | კ | ა | ო | | ს | | | | კ | | ტ | ი | კ | ი |
| ა | გ | ა | ს | | რ | ე | ვ | ი | ზ | ო | რ | ი | | უ | |
| რ | ა | ფ | ა | | | მ | ე | რ | ი | ა | | ლ | ი | მ | ა |
| ი | რ | ე | მ | ი | | ი | რ | ა | კ | ლ | ი | ო | ნ | ი | |
| | ა | | | | ი | ნ | ი | ლ | ო | ა | შ | | ი | ს | ო |
| ი | კ | ა | ნ | ა | ფ | ა | ფ | | | | ა | თ | ა | ი | ს |
| | ი | | ე | | ი | რ | ი | დ | ა | გ | ი | რ | ბ | | პ |
| ტ | | ი | ვ | ო | რ | ი | კ | | | ა | დ | ა | მ | ს | ი |
| ა | ი | ლ | ა | ნ | | | ა | ვ | ი | ნ | | კ | ო | ე | |
| ა | ნ | ე | დ | ო | რ | ე | ც | | კ | ი | ლ | ი | კ | ი | ა |
| ტ | ო | კ | ა | ტ | ა | | ი | | ა | ვ | ი | ა | | ს | |
| ი | ლ | ი | | ა | ი | ც | ა | რ | ბ | ი | ვ | | ა | მ | ე |
| | ი | ნ | ა | ბ | ნ | ა | | უ | | | ო | დ | ნ | ო | რ |
| | ბ | | რ | | ი | ლ | ი | კ | ო | | რ | ე | ა | ლ | ი |
| ო | ა | კ | ა | კ | | ი | | ა | ვ | ა | ნ | ი | კ | ო | |
| ი | ბ | ო | ბ | ა | ნ | | ი | | ი | ნ | ო | ლ | ო | გ | |
| ნ | | მ | ი | ნ | ა | | გ | ი | დ | ი | | ი | ნ | ი | ბ |
| ი | ა | ბ | | დ | რ | ე | ი | ფ | ი | | შ | | დ | | ო |
| | კ | ი | ლ | ი | ტ | ა | | ლ | უ | მ | ი | ნ | ა | ლ | ი |
| | ო | ნ | ი | დ | ა | ლ | | ო | ს | ა | ნ | ა | | ე | |
| ა | ლ | ა | ლ | ი | | ე | ი | დ | ი | დ | | გ | ა | მ | ა |
| ბ | ო | ც | ა | | ა | ნ | კ | ა | | ო | ნ | ა | გ | ა | ნ |
| ა | ბ | ი | | | რ | ე | ა | | | ნ | ა | ნ | ი | ნ | ა |
| ლ | | ა | ი | ს | ე | მ | | მ | ო | ა | ჯ | ი | რ | ი | |



| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | К | | Б | | Х | | Т | | | С | | Л |
| Б | О | Р | О | Д | А | | Л | О | Г | О | В | О |
| | Б | | Р | | М | А | Я | К | | Л | | М |
| | У | Р | О | Н | | | | О | Л | О | В | О |
| Т | Р | А | В | А | | Р | | П | О | М | Е | Т |
| Б | А | С | | С | М | А | К | | Р | А | С | А |
| | | К | | Т | Е | М | А | | И | | Л | |
| | Д | О | М | | Ч | А | С | | | К | О | Д |
| С | О | Л | О | Д | | | С | Т | О | Л | | Р |
| | Р | | Р | | У | Д | А | Р | | О | Д | А |
| С | О | Л | О | Н | К | А | | И | | Б | У | К |
| | Г | А | З | | О | Ч | К | О | | У | Х | О |
| Р | А | Й | | Ю | Л | А | | Д | О | К | | Н |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ა | 5 | მ | 10 | ღ | 4 |
| ბ | 25 | ნ | 17 | ყ | 11 |
| გ | 27 | ო | 3 | შ | 9 |
| დ | 13 | პ | 24 | ჩ | 29 |
| ე | 20 | ჟ | 26 | ც | 30 |
| ვ | 31 | რ | 2 | ძ | 32 |
| ზ | 23 | ს | 18 | წ | 6 |
| თ | 28 | ტ | 22 | ჭ | 1 |
| ი | 14 | უ | 7 | ხ | 16 |
| კ | 21 | ფ | 12 | ჯ | 8 |
| ლ | 33 | ქ | 15 | ჰ | 19 |

# აფორიზმების ანთოლოგია

**907**. იუმორი არის საშუალება იმისა, რომ მედლის სამი მხარე დაინახო.

**ნედ როჩემი**

**908**. თუ სერიოზულობის უკან ხუმრობა იმალება, ეს ირონიაა და თუ ხუმრობის უკან სერიოზულობაა, ეს იუმორი გახლავთ.

**არტურ შოპენჰაუერი**

**909**. იუმორი არის სიმართლე სიცოცხლისათვის უსაფრთხო დოზით.

**უცნობი ავტორი**

**910**. იუმორი ისეთივე პირადული საკითხია, როგორც სექსი.

**ჯინ შეპარდი**

**911**. იუმორი ხვიარა მცენარესავითაა, ხის გარშემო რომ იგრიხება; ხის გარეშე მისი ფასი კაპიკია...

**ჰაინრიხ ჰაინე**

**912**. ადამიანი, რომელიც ნაწილობრივ მაინც არაა იუმორისტი, მხოლოდ ნაწილობრივაა ადამიანი.

**ჯილბერტ ჩესტერტონი**

**913**. იუმორი, ალბათ, ერთადერთი გამოგონებაა, რომელიც ადამიანს განასხვავებს ცხოველისაგან და სხვა ადამიანისაგან.

**სტანისლავ ეჟი ლეცი**

**914**. იუმორი ძალზედ იშვიათი ლითონია.

**უცნობი ავტორი**

**915**. იუმორი აღადგენს ყველაფერს, რასაც ანგრევს პათოსი.

**უცნობი ავტორი**

**916**. ცინიზმი არის იუმორი ცუდი განწყობით.

**ჰერბერტ ჯორჯ უელსი**

**917**. შავი იუმორი არ არსებობს, რადგან არ არსებობს თეთრი იუმორი.

**მოუზი**

**918**. თუ ადამიანს წართმეული აქვს იუმორის გრძნობა, ესე იგი ღირსი იყო ამისა.

**დანიილ რუდნი**

**919**. ასაკის მატებასთან ერთად ქალები სულ უფრო მეტ იმედებს კოსმეტიკაზე ამყარებენ, მამაკაცები კი - იუმორის გრძნობაზე.

**ჯორჯ ჯინ ნეიტონი**

**920**. ვცვლი იუმორის გრძნობას სიცილის მიზეზზე.

**უცნობი ავტორი**

**921**. სიცილი უმოკლესი მანძილია ორ ადამიანს შორის.

**ვიქტორ ბორჯი**

**922**. ვინც იცინის, ყველაფრის პატიება შეუძლია.

**ვასილი ჟუკოვსკი**

**923**. ვერასოდეს შეიყვარებ ადამიანს, რომელთან ერთადაც გულიანად არასოდეს გიცინია.

**აგნეს რეპლიერი**

**924**. ადამიანი ერთადერთი არსებაა, რომელსაც სიცილი შეუძლია, თუმცა კი სწორედ მას აქვს ყველაზე ნაკლები საფუძველი ამისა.

**ერნესტ ჰემინგუეი**

**925**. სიცილი გადამდებია, როგორც მთქნარება.

**ჰაინრიხ ჰაინე**

**926**. მითხარი, რაზედ იცინის ხალხი და მე გეტყვი, რისთვის დაღვრის ის სისხლს.

**სტანისლავ ეჟი ლეცი**

**927**. ანგელოსებს სიცილი რომ შესძლებოდათ, მე სატანის დამარცხებას დავიჯერებდი.

**სტანისლავ ეჟი ლეცი**

**928**. რა ბედნიერი იყო ადამი! რაიმე გონებამახვილურს რომ იტყოდა, მას შეეძლო დარწმუნებული ყოფილიყო იმაში, რომ არავის ნათქვამს არ იმეორებს.

**მარკ ტვენი**

**929**. კალამბური გონებამახვილობის უმდაბლესი ფორმაა.

**აირა გერშვინი**

**930**. უხეშობა ბრიყვების გონებამახვილობაა.

**ანდრე მორუა**

**931**. კარგი ხუმრობა გამოგონება კი არა, აღმოჩენაა.

**ერნსტ ჰომბრიხი.**

**932**. ხანდახან უნდა აცინო ადამიანები, რომ მათ თქვენი ჩამოხრჩობის სურვილი გადაავადებინო.

**ჯორჯ ბერნარდ შოუ**

**933**. გლუვი ხუმრობების არსებობაც აუცილებელია... გლუვგონებიანთათვის.

**უცნობი ავტორი**

**934**. ყოველ ხუმრობაში ხუმრობის ნატამალი დევს.

**„ფანტაზიის“ რედაქტორი**



## იაპონური ნახატი აღმზრდელობით თემაზე

Column clues (top to bottom, columns left to right):

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | 5 | | | | | | | |
| | | | 2 | | | | | | | | | 8 | 10 | 11 | 10 | | | | |
| | 2 | 3 | 9 | 1 | 1 | 2 | 3 | | 1 | 11 | 13 | 5 | 4 | 5 | 5 | | | 6 | 4 |
| 7 | 7 | 10 | 1 | 13 | 4 | 2 | 6 | 16 | 17 | 6 | 6 | 1 | 2 | 2 | 2 | 15 | 14 | 3 | 1 |

Row clues (rows top to bottom):

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | 4 |
| | | 2 | 3 |
| | | | 7 |
| | | | 9 |
| | | | 5 |
| | | | 5 |
| | | | 5 |
| | | | 7 |
| | | | 8 |
| | | | 8 |
| | | | 9 |
| | | 3 | 5 |
| | | 2 | 5 |
| | 1 | 3 | 5 |
| | 1 | 3 | 5 |
| | 2 | 4 | 4 |
| | 3 | 3 | 5 |
| 2 | 1 | 4 | 4 |
| | 4 | 4 | 4 |
| | 2 | 3 | 4 |
| | 3 | 4 | 3 |
| | | 5 | 7 |
| | | 7 | 7 |
| | | 7 | 6 |
| | | 6 | 6 |
| | 5 | 3 | 1 |
| | | 4 | 2 |
| | | 3 | 4 |
| 1 | 1 | 3 | 2 |
| | 2 | 3 | 3 |

## ცხოველთა სამყაროში – 5
## „ყველაზე მაძღარი მსოფლიოში“



**ი/ს „ფანტაზია–2000“** (ნატალია ბერიკიშვილი)
რეგისტრ ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს
მიერ № 5/1-2304

ტელ. - 79-53-70, (8-77) 45-19-80
e-mail vakho20@ti.net.ge
გამოდის **ალექსანდრე და ვახტანგ ელერდაშვილების** რედაქტორობით